ახალი განთიადი

„ბედნიერია ის, ვისაც საამშობლოსათვის უძღვრის გული„

2021 წელი

7 ნოემბერი

№ 10-11

№ 8173-74

ელფოსტა

AxaliGantiadi
@gmail.com

1931 –2021

ჩვენ 90 წლისა ვართ!

ჩვენი ქვეყნის განთიადების ყველაზე ვნო,,ყვრგი გამგონის,, მეორეული მეძიებელი

ილოცავთ იუბილეს!

ჩვენი სამშობლოს ერთ-ერთი უძველესი კუთხის ასაკოვანმა, მაგრამ სულ ახალგაზრდა გაზეთმა ღირსეულად გაუძლო ქვეყნის ისტორიის ქარტეხილებს და შემოგვინახა თითქმის საუკუნოვანი ისტორია.

ურთულესი წინააღმდეგობების, რთული რეალობის მიუხედავად, წლების განმავლობაში შემოინახეთ რაიონის ერთადერთი საინფორმაციო საშუალება - გაზეთი.

დრო არ ჩერდება, დამოუკიდებელი საქართველოსთვის მართლაც ბევრია სამუშაო.

დარწმუნებული ვარ, ჩვენი გაზეთი ტრადიციულად მიუკერძოებლად, ობიექტურად გააგრძელებს მუშაობას, გააშუქებს მიმდინარე მოვლენებს.

იმედია, ჩვენი გაზეთი უერთგულებს საუკეთესო ტრადიციებს, დაამკვიდრებს ახალს, მომავალ თაობებს შემოუნახავს უახლესი ისტორიის ობიექტურ სინამდვილეს.

საიუბილეო დღეებში ვუერთდები თქვენს სიხარულს.

ჩვენს იუბილარ გაზეთს ვუსურვებ ქართული პრესის საუკეთესო ტრადიციების გაგრძელებას, შემოქმედებით სიახლეებს, მრავალრიცხოვან მკითხველს და ხელმომწერთა სიყვარულს.

გისურვებთ წარმატებებს თქვენს საშვილიშვილო საქმიანობაში!

გილოცავთ იუბილეს და ძველებურად ველოდებით საინტერესო ნომრებს!

ვახტანგ მაისურაძე,
კასპის მუნიციპალიტეტის მერი.

ილოცავთ იუბილეს!

2011 წლის მარტი. სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტი„ გაზეთი „ახალი განთიადი„ დაჯილდოვდა დევნილი მოსახლეობის პრობლემებისა და ცხოვრების გაშუქებაში გამოჩენილი აქტიურობისა და მხარდაჭერისათვის.

არასდროს იცი, რა იქნება ხვალ? თითქოს მზადა ხარ უარესისთვის, მაგრამ ისე არ გინდა ცუდის დაჯერება, ფიქრშიც კი უგულვებელყოფ უარესს. ეს ფიქრში, სინამდვილეში კი ვერასოდეს მივატოვეთ აქაურობა, რა აღარ გამოვიარეთ, რა არ ვნახეთ, სამოქალაქო ომი, შუაგულ რუსთაველზე ტყვიების ზუზუნი, ახლობლებს და მეგობრებს საავადმყოფოებში და მორგებში ვეძებდით...

აფხაზეთი...

სამაჩაბლო - საშინელი დღეები, წაგლეჯილი ქვეყანა. უშუქობაში, პურის რიგებში, გაყინულ სახლებში გაზრდილი თაობა ...

იცი, ცხოვრების დროს ვერ აირჩევ და გინდა თუ არა, იღებ აწმყოს.

ჩვენც თქვენსავით დავიღალეთ. აბა, რა ვიცოდით, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ათწლეულობით გეომეტრიული პროგრესიით თუ გამრავლდებოდნენ ქვეყნის მტრები ... 30 წელს გადაცილებული პოლიტიკური გოდოს მოლოდინი ბედისწერად დაჰყვა დამოუკიდებელი საქართველოს ახალ ისტორიას. ამ მოლოდინს მუდმივად გასდევდა გულუბრყვილო ფიქრი, რომ ერთ კაცს შეეძლო ყველაფრის გამოსწორება, ჩვენ კი მოვიმკიდით სიკეთეს. სიკეთე ყველა ამინდში სახეცვლილი გვრჩებოდა.

ყველაზე ხშირად ვახსენებდით მკითხველს, რომ მთავარია თავისუფლების, დამოუკიდებლობის დაცვა და შენარჩუნება. ყველაფერს გავუძლებთო და ურთულეს სინამდვილესაც გავუშინაურდით.

მოულოდნელობებით სავსე ყოველდღიურობაში ჩვენი "განთიადის" არსებობა არ ყოფილა მზის სხივებით ნაფერები. და თუ სიმართლეს ვიტყვით, განვლილ გზას რომ გადავხედავთ, ჩვენ თვითონ გვიკვირს, როგორ არ შეწყდა გაზეთის გამოცემა, როგორ მოერგო ახალ რეალობას, როგორ გამოიარა ყველა თავსდატეხილი განსაცდელი....

გაზეთი ხომ ცოცხალი ორგანიზმია და, უნდა თუ არა, მაინც სარკესავით აირეკლავს დროს – რომელშიც "ცხოვრობს".

საერთო უშუქობა ყველას კარგად გვახსოვს. ქვეყანა ომში იდგა და შესაძლებლობის ზღვარზე გამომავალი გაზეთი ღამის პირველი საათიდან დილის შვიდ საათამდე ეწყობოდა. იმდენი სიხარული თქვენ, ჩვენო ძვირფასო მკითხველო, რამდენ ალიონსაც შეგებებია რედაქციის კოლექტივი.

არასოდეს დავიღლები სტამბა-რედაქციის თავდადების მაგალითის გამეორებით, მით უმეტეს, რომ გაზეთის შექმნისათვის ღამისთევები წლები გრძელდებოდა.

განსაკუთრებული მადლობა მინდა მოვახსენო სტამბის თანამშრომლებს: ლინოტიპისტს შოთა რევაზიშვილს, დამკაბადონებლებს ქეთევან თაგვიაშვილსა და ვარდიკო გუგულაშვილს. რომ არა მათი მოქალაქეობრივი პოზიცია, რომ არა მათი ერთგულება საქმისადმი, უშუქობის წლებში გაზეთი ვერ დაკაბადონდებოდა – ეს კი ჩვენი რაიონის თანამედროვე ცხოვრების ერთადერთი მემატიანის გაქრობას გამოიწვევდა.

სხვათა შორის, თუ გადავხედავთ იმ დროის სტატისტიკას, რაიონულ გაზეთთა უმრავლესობამ ფუნქციონირება შეწყვიტა. ალბათ, მათ არ ჰყავდათ ჩვენნაირი ერთგული სტამბელები და გულშემატკივრები.

ეს რაც შეეხება სტამბას.

რედაქცია სიმბოლური ანაზღაურების ფასად ღამეებს უთენებდა "განთიადს". პროფესიული ღირსებით, მდგომარეობის ბოლომდე გაცნობიერებით და უტყუარი კაცადკაცობის კანონის მორჩილი ჟურნალისტები წლების განმავლობაში რამდენ ალიონს შევხვდით ერთად. ყველაზე საგულისხმო კი ის გახლავთ, რომ ეს არც დავალებით ხდებოდა და არც შიშით – ჩვენ ჩვენს საქმეს ვაკეთებდით და, რა თქმა უნდა, ვაგრძელებდით იმ გზას, ათეული წლების წინ რომ დაიწყეს ჩვენმა წინამორბედმა განთიადელებმა.

წელს გაზეთს 90 წელი შეუსრულდა. სწორედ ასეთ დროს, ალბათ, აუცილებლად უნდა ითქვას მთავარი – ერთგული მკითხველის შემწეობითა და განსწავლული თანარაიონელების წყალობით გამდიოდა გაზეთი, იქმნებოდა შიდა ქართლის ერთი კუთხის მატიანე.

გაზეთის პირველი ნომერი 1931 წლის 7 ნოემბერს გამოვიდა. დაარსების თარიღიცა და სახელწოდებაც – "კომუნიზმისაკენ" სრულ ინფორმაციას იძლევა იმ დროისა და იმ დროინდელი ფასეულობების შესახებ.

პირველი წლის ტირაჟი 3000-ით განისაზღვრა. თურმე, საერთო ხელმძღვანელობას თბილისის გაზეთი – "მუშა" უწევდა, იბეჭდებოდა "კომუნისტის" სტამბაში.

ბუნებრივია, ვერ შევძლებთ ყველა მუშაკის გახსენებას, მით უმეტეს გასათვალისწინებელია ისიც, რომ ათწლეულები სტამბა-რედაქცია თითქმის ერთი საფიქრალით ცხოვრობდა და გაზეთის გამოცემაში ჟურნალისტებზე არანაკლები წვლილი მიუძღვის რამდენიმე სტამბელს.

მეორე მსოფლიო ომიდან აღარ დაბრუნებულან გაზეთის რედაქტორი ნიკო ჩადუნელი, ბუღალტერი ვანო მეცხვარიშვილი, ასოთამწყობები არტემ ტყემალაძე და არჩილ შალუტაშვილი.

გაზეთს თავიდანვე საუკეთესო რედაქტორები დაებედა: შალვა შაველაშვილი, ელიზა გულვერდაშვილი-გეგეშიძე, ივანე ბუზალაძე, ვახტანგ ელისაბედაშვილი, ალექსანდრე ბეჟანიშვილი, გურამ კლდიაშვილი, თამაზ შეშაბერიძე, თემურ ჟღენტი.

გაზეთთან დამოკიდებულება ლაკმუსის ქაღალდივით ააშკარავებდა, რამდენად განსწავლული იყო რაიონის ხელმძღვანელი. ინტელიგენტი და წიგნიერი ხელმძღვანელის ხელში "განთიადის" შუქ-ჩრდილები მეტად მეტყველი იყო, მაგრამ ფაქტია, იყო პირიქითაც, ასეთ რეალობაში "სხვისი მაზიარებელი" გაზეთი თავად რჩებოდა ნორმალურ ყოფას უზიარებელი და უკეთესი დღეების იმედს არ კარგავდა.

ერთხელ, რაიკომში კონფლიქტური სიტუაცია ირჩეოდა, აი, ისეთი, ადამიანური და საზოგადო კანონების ვექტორი რომ არ ემთხვევა ხოლმე ერთმანეთს; სიტუაციის ტრაგიზმი კი იმაში მდგომარეობდა, რომ მშიშარა და ნაკლებგანსწავლულმა (რბილად რომ ვთქვათ!) პირველმა პირმა ვერ მიიღო სწორი გადაწყვეტილება. რამდენიც არ უნდა განეხილათ, აღარაფერი შეიცვლებოდა.

"დაზარალებულ" კოლეგას ვკითხე – ამ ყველაფერს ნუთუ არაფერი ეშველა-მეთქი? გამიღიმა და მიპასუხა – ბევრს თავის დროზე "ტომ სოიერის თავგადასავალი" მაინც რომ წაეკითხა, ჩვენთვისაც კარგი იქნებოდაო...

ის კაცი რედაქციიდან წავიდა, მისი წერ

დასასრული გვ3.

ჩვენი ქალაქის განთიადების ყვავილოვანი ნაზი, ,ყარგი გამგონის, ,მარადიული მაძიებელნი

(დასასრული)

ილები დღემდე ახსოვთ და ხშირად მომისმენია მისი ციტირება. იმ საბედისწერო ხელმძღვანელების სახელი კი მხოლოდ ამ ამბით შემორჩა ქალაქს.

ასეა, ძვირფასო მკითხველო, კარგი გამგონის იმედით არსებობს გაზეთი. თუ კარგი მკითხველი არა გყავს, "წერე და იკითხე!"

შინაურ თუ გარეშე მტერ-მოყვარესთან შეჭიდებული გაზეთი აგრძელებს თავის გზას. ეს ჩუმი სამსახური რაღაცნაირად ჰგავს სამშობლოს სიყვარულს. ყველაზე მძიმე წუთებშიც კი – წვეთ-წვეთ რომ იღვრებოდა საუკეთესო შვილთა სისხლი, ხომ ყველას გვჯეროდა, რომ უკეთესი დღეები აუცილებლად დადგებოდა.

თქვენ რომ შეგეძლოთ მზის სხივი "შემოიტყუოთ" თქვენს ოთახში, სახლში, ქალაქში, ქვეყანაში – როგორ მოიქცეოდით? განთიადელებსაც ეს აერთიანებთ – ცდილობდნენ, ვცდილობთ, ეცდებიან სინათლე და მზის სხივი არ მოაკლონ ჩვენი ქალაქის "განთიადს", რომელიც ყოველცისმარე ახალია. განახლება კი სიცოცხლის აუცილებელი პირობა გახლავთ.

* პ.ს. ჟურნალ-გაზეთები პატივს სცემენ მზა რეცეპტებს, მაგრამ ნაკლებად სჯერათ მათი. ჩვენი გაზეთი მხოლოდ საკუთარ მკითხველთან ერთად, გზადაგზა გაიზარდა, იპოვა სათქმელი და თქმის აკადემიური ფორმა.

ფაქტია, მიუხედავად დროისა და სივრცის შემოთავაზებული მრავალი საცდურისა, ჩვენს გაზეთს "სიყვითლე" არ შეჰპარვია (ღმერთმა დაგვიფაროს!) და არც მდარე გემოვნებისათვის გვიგორებია კოჭი. ყოველთვის გვჯეროდა – გამგები გაიგებს! და დღემდე კარგი გამგონის მარადიულ მაძიებლად ვრჩებით.

ნანა მერებაშვილი.

პირველი ნომრის გამოსვლის წინ

გაზეთის პირველი ნომრის გამოსვლას წინ უძღოდა მრავალი მოსამზადებელი სამუშაო. საქართველოს კპ კასპის რაიკომში 1931 წლის 1 ოქტომბერს შედგა თათბირი, სადაც განიხილეს რაიონული გაზეთის გამოშვების საკითხი. თათბირზე დაადგინეს სარაიონო მასშტაბით ნაბეჭდი გაზეთის გამოშვება.

გაზეთს უწოდეს "კომუნიზმისაკენ", რომლის პირველი ნომერი 1931 წლის 7 ნოემბერს, შაბათს გამოვიდა. გაზეთი იყო ოთხგვერდიანი, ღირდა 5 კაპიკი, ტირაჟი – 2000 ცალი.

რედაქციას თავიდან საკუთარი სტამბა არ გააჩნდა, იგი იბეჭდებოდა გაზეთ "კომუნისტის" სტამბაში. საერთო ხელმძღვანელობას

ადრეულ წლებში უწევდა გაზეთ "მუშის" სარედაქციო კოლეგია. ეს იყო საქართველოს კპ(ბ) კასპის რაიკომისა და რაიაღმასკომის ათდღიური ორგანო. 1935 წლიდან 1955 წლამდე გაზეთი ორგვერდიანი იყო. 1956 წლიდან კი გაზეთი გადაკეთდა ოთხგვერდიანად. 1945 წელს გაზეთს მხოლოდ ორი საშტატო ერთეული ჰქონდა: რედაქტორი და პასუხისმგებელი მდივანი.

40-იან წლებში რედაქციას თავისი სტამბით ეკავა ორი ოთახი იმ შენობაში, სადაც ახლა მუზეუმია. იმ ადგილას პირველ სართულზე იყო რედაქცია-სტამბა, მეორეზე – მანქანა-ტრაქტორთა სადგური. საგაზეთო მასალები ხელით იწყობოდა. იმ დროს ასოთამწყობები იყვნენ: ევა პავლიაშვილი, ვალერიან ტყემალაძე, მიხეილ შაველაშვილი, ნიკოლოზ ბასილაშვილი; მკინძავი მარფა მალცევა. 1961 წელს კასპში მოხდა სტამბის რეორგანიზაცია.

1962 წლის 29 აპრილიდან გაზეთის გამოშვება შეჩერდა. 1965 წელს კი სტამბის მოსაწყობად გიორგი ნიჟარაძე მოიწვიეს. მისი ინიციატივით შეიკრიბნენ სტამბაში ილია გორგაძე, ალბერტ შაველაშვილი, შოთა რევაზიშვილი, ჟუჟუნა საჩალელი.

1966 წელს ისევ განახლდა გაზეთის გამოცემა. 1967 წლის 11 თებერვლიდან გამოდის "განთიადის" სახელით.

ახალ სტამბაში გაზეთი "განთიადი" პირველად დაიბეჭდა 1981 წლის 17 დეკემბრის (№148) ნომერი. რედაქციაც ამავე შენობაში გადავიდა. მისამართი წერეთლის ქ. №5ა. ძველი მისამართი იყო პირველი მაისის ქ. №32.

არ შეიძლება, მადლიერების გრძნობით არ გავიხსენოთ ის პირველი რედაქტორები, რომლებიც ჯერ არ აწერდნენ ხელს, შემდეგში კი უკვე ხელმოწერით ამცნობდნენ რაიონის ცხოვრებას მკითხველებს. ესენი იყვნენ:

ალ. სილაგაძე,
გრ. პაპავა,
ნიკოლოზ გიორგის ძე ჩადუნელი,
შალვა შაველაშვილი,
ივანე ბუზალაძე,
ტიტე მეგენეიშვილი,
გიორგი მალაციძე,
ელიზა გულვერდაშვილი-გეგეშიძე,
ვახტანგ ივანეს ძე ელისაბედაშვილი,
ალექსანდრე ბეჟანიშვილი,
გურამ ლეონიდეს ძე კლდიაშვილი,
თამაზ შეშაბერიძე,
თემურ ჟღენტი.

გილოცავთ იუბილეს!

ამას ვინატრებდი...

გაზეთი გუშინ.

გაზეთი დღეს.

ორი სხვადასხვა რეალობა. ამაზე ფიქრი დაგვანაღვლიანებს.

ჩვენ კი საპირისპირო განწყობა გვჭირდება, რადგან იუბილარ გაზეთზე ვსაუბრობთ.

... დავით კლდიაშვილი მახსენდება: ამაზედაც გმადლობ, უფალო... დიახ, მადლობა უფალს, რომ კასპის რაიონში (ახლა რომ მუნიციპალიტეტს უწოდებენ) დღესაც გამოდის გაზეთი, რომელიც თავის ბიოგრაფიასა და ისტორიას 1931 წლიდან მოითვლის.

90 წლის გაზეთი, რომელსაც დღეს "ახალი განთიადი" ჰქვია. გაზეთი, რომელსაც ავბედითი კომუნისტური ეპოქაც გამოუვლია და დამოუკიდებლობის თანამდევი მღელვარე პერიოდებიც. საბედნიეროდ, კარგი რედაქტორები დაჰბედებია.

მართლაც, ქუდბედიანი უნდა ეწოდოს პერიოდულ გამოცემას, რომელსაც ჯერ გურამ კლდიაშვილი უხელმძღვანელებს, შემდეგ კი - თამაზ შეშაბერიძე, თემურ ჟღენტი, ნანა მერებაშვილი.

***

რა შეიძლება ვუსურვოთ იუბილარ გაზეთს?

მე ამას ვინატრებდი: ყოველკვირეული გამხდარიყოს.

არა მგონია, ძალიან ძნელად ასასრულებელი იყოს. არც ათიდან თორმეტამდე გვერდი მგონია ბევრი. მოკლედ, თორმეტგვერდიანი და ყოველკვირეული. "ახალი განთიადი" ამას იმსახურებს...

იოსებ ჭუმბურიძე,
პუბლიცისტი, პროფესორი.

პროფესიონალიზმი და ზომიერება

XXI საუკუნის ელექტრონული მედიის ოკეანეში მკვიდრად ნაგები კლასიკური ხომალდი თავდაჯერებით და ჯიუტად მიცურავს. ის გვერდს უვლის სიყვითლის მორევებს, ცრუდ პოპულარული თემების მაცდუნებელ დინებებს, მედროვეობის ცუნამებსა და პოლიტიკური ანგაჟირებულობის წამლეკავ ტალღებს. მის აფრებს აწერია: მიუკერძოებლობა, პროფესიონალიზმი და ზომიერება (ემანუილ კანტის მიერ დასახელებულ სამ ადამიანურ საგანძურთაგან ერთ-ერთი). ეს ხომალდი გაზეთი "განთიადია".

უმთავრესი ტვირთი, რომელსაც ის ამ უნდობარ ხანაში მკითხველის ცნობიერებამდე ეზიდება, კულტურული ფასეულობები და ინტელექტუალური პუბლიცისტიკაა. ვულოცავ "განთიადსა" და მის კაპიტან-რედაქტორს, ნანა მერებაშვილს 90 წლის იუბილეს! მშვიდ, წარმატებულ ცურვასა და თავისი გემოვნებიანი მკითხველის უღალატო სამსახურს ვუსურვებ!

მარინა ყიფშიძე,
სულაკაურის გამომცემლობის რედაქტორი, მედიასააგენტო "კონტენტის" ჟურნალისტი.

განთიადის სხივი

ბედისწერამ მე და კასპის გაზეთი "განთიადი" უცნაურად და სამარადისოდ დაგვაკავშირა ერთმანეთს. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტურ წლებს ეს სიკეთეც ჰქონდა, საქართველოს ყველა კუთხიდან შეძენილ მეგობართა შორის, კასპელი მეგობრებიც მყოლოდა. მათ შორის იყო უნიჭიერესი სტუდენტი ჟურნალისტიკის ფაკულტეტიდან, ნანა მერებაშვილი, რომელმაც თავისი პროფესიული ცხოვრება კასპის გაზეთ "განთიადს" დაუკავშირა. ნანამ იცოდა, რომ ლექსებს ვწერდი. ისიც იცოდა, რომ არსად არაფერს ვაქვეყნებდი, მაგრამ მას, როგორც გამორჩეულ ახლობელს, ჰქონდა ჩემი ხელნაწერები. ერთ მშვენიერ დღეს, წლების მერე, მძიმე ოთხმოცდაათიანებში, შინ მომიტანეს "განთიადის" საგაზაფხულო-სარვამარტო ნომერი, რომელშიც ნანას ჩემი საგულდაგულოდ გადამალული ლექსების კარგა მოზრდილი პუბლიკაცია დაებეჭდა. ეს იყო ჩემს ლიტერატურულ ბიოგრაფიაში პირველი პუბლიკაცია. მაშინ ვნახე პირველად, როგორ გამოიყურებოდა გაქვეყნებული პოეტი მარიამ წიკლაური. ეს ჩემთვის სერიოზული ბიძგი აღმოჩნდა. პირველ ნაბიჯს სხვა უფრო თამამი ნაბიჯებიც მოჰყვა. შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ კასპის გაზეთიდან დავიწყე ის, რასაც სამომავლოდ მოჰყვა პუბლიკაციებიც, წიგნებიც.

"განთიადი" ჩემი ფეხბედნიერი მეკვლე გამოდგა ლიტერატურაში. ყველაზე უკეთ განთიადზე მეწერება, მიყვარს მზე, სინათლე, ნათელი ადამიანები, ნათელი ფერები... რა უცნაურია, რომ ამ გაზეთსაც "განთიადი" ჰქვია... მინდა, გაზეთში მომუშავე ყველა თაობის ყველა ადამიანს და მის მკითხველებს გაზეთის 90 წლის იუბილე მივულოცო.

მართლაც საგანთიადო განწყობა ვუსურვო, მარადიული განახლების იმპულსები, შემოქმედებითობა! ყველაფერი ძალიან მნიშვნელოვანია, რაც სიტყვას უკავშირდება!

არასოდეს მოგკლებოდეთ მკითხველის ყურადღება, თანამოაზრეობა, გულისხმიერება. დე, ახალი თაობის ადამიანებსაც ამ ალუფხულ დროში, ტექნოლოგიების დიქტატურის მმართველობის ჟამსაც შერჩენოდეთ ის სიამოვნება, რასაც გაზეთის გადაკითხვა, გაცნობა და საინტერესო პუბლიკაციების აღმოჩენის ბედნიერება ჰქვია. განსაკუთრებით ვულოცავ გაზეთის რედაქტორს, ჩემს მეგობარს და თანამოაზრეს, ნანას. მე ვაფასებ პროფესიონალიზმს და საქმისადმი ერთგულებას. შენ კი ამის ცოცხალი მაგალითი ხარ, მეგობარო! მიიღე მადლიერება ჩემგან. მოგენაყოფებინოს ის სიკეთე, რასაც ასე ესათუთები, გულს და ნიჭს უძღვნი - ადამიანთა სიფხიზლე, აზროვნება, სამოქალაქო შეგნება, სიყვარული, ერთურთზე და სამშობლოზე ზრუნვა, არსებულის მოფრთხილება და უკეთესი მერმისი! "განთიადის" საუკუნოვან იუბილეს მეტი სიხარულით შეხვედროდეთ კასპელები!

მარიამ წიკლაური,
პოეტი, საბავშვო ავტორი.

გილოცავთ იუბილეს!

“ახალი განთიადი” მუდამ ჩვენი ცხოვრების შუაგულშია. მისი 90-წლიანი უმდიდრესი და სახელოვანი ბიოგრაფია ფასდაუდებელ სამსახურს უწევს ჩვენი რაიონის ცხოვრების მატიანეს.

განთიადელებო, ძველებო და ახლებო, გილოცავთ იუბილეს და გულწრფელ მადლობას მოგახსენებთ ერთგულებისა და თავდადებისათვის, რადგან თქვენ ალამაზებთ ჩვენს სულიერებას. გისურვებთ წარმატებებს, მკითხველთა სიმრავლეს, მიგულეთ თქვენს გვერდით.

პატივისცემით უშანგი მოსიაშვილი.

---

90 წელი საკმაო დროა საიმისოდ, რომ მკითხველმა დააფასოს და დაინახოს ის მძიმე შრომა, რომელიც გაზეთის შექმნას სჭირდება.

ყოველი საინტერესო პუბლიკაციის შემდეგ მადლობას მოვახსენებ გაზეთს ჩვენი ახალგაზრდობის გაცოცხლებული დღეების გამო, თქვენთან ერთად პატივით და სითბოთი ვიხსენებ ძველ რედაქტორებს: გურამ კლდიაშვილს, თამაზ შეშაბერიძეს, თემურ ჟღენტს.

ვიცით, რა სიძნელეებთანაა დაკავშირებული სერიოზული გაზეთის გამოცემა. ღმერთმა დაგლოცოთ და შეგაძლებინოთ ამ დიდი საქმის კეთილად გაძღოლა.

გისურვებთ გაზეთის დღეგრძელობას და მკითხველთა სიმრავლეს.

ბესიკ ნიპარიშვილი, შპს “ბესიკ ნიპარიშვილი” მრავალპროფილიანი სკოლა-გიმნაზიის დირექტორი.

გამოინერეთ „ახალი განთიადი„

გახდით ჩვენი მკითხველი!

იუბილარი

(წერილი მეექვსე)

იმ ღამეს, ავის მომასწავებლად აიფოფრნენ საავდრო ღრუბლები, დანახვისის მთის წვერზე ჩაშავდნენ, შემოუარეს, მტკვრის ხეობაში შემოჯარდნენ და ფანტელები ჩამოყარეს...

თოვდა.

1931 წლის 7 ნოემბრის დილა თენდებოდა. დაბა კასპი (ქალაქის სტატუსი 1959 წელს მიენიჭა, ნ.ე.) სადღესასწაულოდ იყო მორთული. ულამაზო, კეთილმოუწყობელ კლუბში, ნელა იკრიბებოდა ადგილობრივი მოსახლეობა, მოდიოდნენ ახლო-მახლო სოფლებიდან, ვინ ცხენით, ჩარდახიანი ურმით, ვინ - ფეხით...

დარბაზში ციოდა, დაბამბულ „ტელეგრეიკებსა” და გაცრეცილ ბუშლატებში გამოწყობილი გლეხები შემცივნებულ ხელებს ჯიბეებში ფუთავდნენ, ერთმანეთს ესალმებოდნენ, ამინდზე, მოსავალზე და საშემოდგომო ხვნა-თესვაზე მასლაათობდნენ...

- ცემენტის ქარხანა რომ ამუშავდა, ჩვენთვისაც დიდი სიკეთეა, არა? - იკითხა სამთავისელმა მიხა თექთუმანიძემ. - ჰო, ცემენტი გვექნება, ახალ სახლებს ავაშენებთ და მიწურებიდან გამოვალთ, - ჩაიცინა მეტეხელმა სიმონა ბოგველმა.

- შენ იცინე და, აი, ნახავთ, მაგ ქარხნიდან სინათლეს თუ არ გავიყვანთ, - დაიტრაბახა ნოსტელმა მანდილოსანმა, ნატა ხიზამბარელმა (ეს პირობა, მან რამდენიმე წელში, მართლაც შეასრულა, როცა კოლმეურნეობას ჩაუდგა სათავეში).

დარბაზში, რაიკომის თანამშრომლები შემოვიდნენ და საზეიმო სხდომის დაწყების მომლოდინე მაყურებლებს, ჯერაც საღებავშეუმშრალი გაზეთები ჩამოურიგეს.

- საჩუქარია? - იკითხა მეტეხის თემაღმასკომის ყოფილმა თავმჯდომარემ, ლელე ედიშერაშვილმა, რომელმაც, 20-30-იან წლებში, ერთ-ერთმა პირველმა გამოიყვანა მიწურებიდან მეტეხელი მოსახლეობის უმრავლესობა, თუმცა, მაშინ კასპის ცემენტის ქარხანა მოფიქრებულიც არ იყო.

მათი საუბარი, საზეიმო სხდომის დაწყებამ შეაჩერა. ტრიბუნასთან მივიდა რაიკომის პირველი მდივანი, მაღალი, წარმოსადეგი საღარაძე და დამსწრე საზოგადოებას ოქტომბრის რევოლუციის მე-14 წლისთავი მიულოცა:

- ახლა, თქვენ, დაგირიგდათ რაიონული გაზეთის ეგზემპლარები, რომელიც დღეს პირველად გამოვიდა და ეს-ეს არის ჩამოიტანეს თბილისიდან, - მიმართა მან მსმენელებს, - ამ საადღესასწაულო წუთებში, - განაგრძო მან, - მინდა მოგილოცოთ ეს ღირსშესანიშნავი მოვლენაც, ჩვენ უკვე გვაქვს ადგილობრივი პრესა, იგი მომზადდა გაზეთ „მუშის” რედაქციის დახმარებით და დაიბეჭდა „კომუნისტის” სტამბაში, რისთვისაც მადლობას ვუთვლი მათ, მალე საკუთარი სტამბა გვექნება და რედაქციასაც შესაფერ შენობას ავუშენებთ, ამის დასახმარებლად მზად არის ცემენტის ქარხნის დირექტორი (გადახედა გვერდით მჯდომ ალექსანდრე ქებაძეს), რომელიც გვპირდება, რომ კულტურის სახლის ლამაზ შენობასაც ააშენებს და კეთილმოუწყობელ დარბაზში აღარ მოგვიხდება საზეიმო სხდომების და სხვა ღონისძიებების ჩატარება, - მდივანმა მრავალმნიშვნელოვნად გაუღიმა ქებაძეს, რომელიც ამაყად წამოუდგა ფეხზე რაიონის თავკაცს, მადლობა გადაუხადა და მოწიწებით დაუკრა თავი დამსწრე საზოგადოებას....

გარეთ თოვდა... 1931 წლის 7 ნოემბრის დღესასწაულს, მთელი რაიონი (და არა მარტო) ზეიმობდა... გაზეთ „კომუნიზმისაკენის” პირველ ნომერს კი, თითქმის ყველა სოფელი კითხულობდა (საჩუქრებად დაურიგეს), მერე კი, ხელმოწერის კამპანია გააჩაღეს...

ასე დაიწყო სიცოცხლე ერთმა პატარა, მაგრამ მნიშვნელოვანმა, სააგიტაციო, პროპაგანდისტულმა გაზეთმა, რომელიც მალე იქცა მშრომელთა მასების მაცნედ, მეგობრად და ცხოვრების მემატიანედ...

მე არ ვიცი, ვინ მოაწერა ხელი, „კომუნისტის” სტამბაში, საბეჭდი დაზგიდან გადმოსულ ეგზემპლარს; „დაიბეჭდოს!” და მერე - „გავრცელდეს!”, ამის შესახებ მემატიანე დუმს. ის კი ვიცით, რომ რედაქტორის მაგიერ, ხელს სარედაქციო კოლეგია აწერდა და კარგა ხანს, ისევ „კომუნისტის” სტამბაში ბეჭდავდნენ...

ერთბაშად არაფერი მოსულა, გაზეთის რედაქცია რაიკომის შენობის ერთ პატარა ოთახში იყო შეყუჟული, მერე ცემენტის ქარხნის დირექტორმა პირობა შეასრულა და სტამბას და რედაქციას რამდენიმე ოთახი დაუთმო (გვიან ამ შენობაში მაღაზია განათავსეს), იგი, სხვა მხრივაც დიდ დახმარებას უწევდა რედაქციას, მაგრამ ამან ვერ (ან, არ) უშველა ქარხნის ამშენებელ, ბატონ („ამხანაგ”, როგორც მაშინ უწოდებდნენ) ალექსანდრე ქებაძეს, რომ 1937 წლის რეპრესირებულისთვის, „ტროცკისტის” და „ხალხის მტრის” იარლიყი მიეწებებინათ....

გაზეთის გამოცემა შეუფერხებლად მიმდინარეობდა, ტირაჟი ყოველწლიურად იზრდებოდა, მის ფურცლებზე ყველაფერი იწერებოდა, წარმატებებიც და ნაკლოვანებებიც... ამ პატარა გაზეთით გაიცნო საქართველომ და მერე საბჭოეთმაც თვალსაჩინო ადამიანები, შაქრის ჭარხლის დიდოსტატები: სოფიო მარიდაშვილი (რომელიც, ომის დამთავრების შემდეგ, სოციალისტური შრომის გმირი გახდა), მარიამ ჩადუნელი (უკრაინელ მეჭარხლეს, მარიამ დემჩენკოს რომ გაუსწრო და მრავალი ორდენით დაიმშვენა მკერდი), ნატა ხიზამბარელი (ნოსტის კოლმეურნეობის თავკაცი, რომელმაც, რაიონში პირველმა გაიყვანა ელექტროდენი, კასპის ცემენტის ქარხნიდან და შიშის ზარს სცემდა ყველა უსაქმურს, ქურდსა და ავაზაკს), სოციალისტური შრომის გმირები: ლამისყანელი ექიმი, მარგალიტა კაკაბაძე-ღუდუშაური, კასპის ცემენტის ქარხნის მუშა, ვარდენ მანძულაშვილი და ვინ არა..

გაზეთმა განსაკუთრებით დიდი როლი შეასრულა მეორე მსოფლიო ომის წლებში, მის ფურცლებზე კითხულობდნენ ომის ამბებს, (მისი რამდენიმე რედაქტორი გმირულად დაეცა ომის გზაზე), ეცნობოდნენ გმირებს, თავიანთი დაბის, სოფლის შვილებს, რომლებმაც თავი გამოიჩინეს კავკასიის, კურსკის რკალის ბრძოლებში (და არა მარტო), მოსკოვის, სტალინგრადის, ლენინგრადის და სხვა ქალაქების განთავისუფლებაში, ბერლინის აღებაში...

გაზეთს ერთი დღეც არ შეუწყვეტია არსებობა, ვიდრე, 1962 წელს, მეტროპოლიიდან არ მოვიდა ავის მომასწავებელი ცნობა რეორგანიზაციის შესახებ: ჩვენი რაიონი შუაზე გახლიჩეს, სოფლები ჩამოაჭრეს (ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით), ქალაქ გორს მიუმატეს, ხოლო კასპს სამრეწველო ქალაქის სტატუსი მიაკუთვნეს.. ამას მოჰყვა გაზეთ „კომუნიზმისაკენის” გაუქმება და მის ნაცვლად, გორის „გამარჯვება” გამოგვიგზავნეს.

გაიფანტნენ კასპელი ღვაწლმოსილი ჟურნალისტები: რედაქტორი, კოლორიტული პიროვნება და იუმორით ცნობილი, დიდებული მამულიშვილი, ალექსანდრე ბეჟანიშვილი განათლების განყოფილების გამგედ დანიშნეს, მისი მოადგილე, ომის ვეტერანი, გიორგი (ჟორა) მალაციძე, გორის „გამარჯვებაში” გადაიყვანეს, პასუხისმგებელი მდივანი, ცნობილი პროზაიკოსი, ისტორიკოსი და მკვლევარი, უკეთილშობილესი პიროვნება, გიორგი ხორგუაშვილი - ახლად დაარსებული, მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორად მოგვევლინა, სხვა თანამშრომლებმაც იშოვეს სამსახური, ვინ სკოლას მიაშურა (ნათელა ფარემუზაშვილი, ანეტა დავითაშვილი) ვინ - რაიკავშირის პროფკავშირს (ვალია თამაზაშვილი), წავიდნენ რედაქციის დიდებული მუშაკები: კოტე ამაშუკელი (თბილისში), ზინაიდა ქისტიშვილი (ჩვენი,”დედა ტერეზა”, როგორც მას შემდგომში ვუწოდეთ) და სხვები... დაიშალა სტამბის კოლექტივი...

„ექსპერიმენტმა” არ გაამართლა, მიხვდნენ შეცდომას, სადაც ჯერ არს და კასპის რაიონი ჩვეულ სივრცეში აღადგინეს: მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე მდებარე, სოფელ ხოვლის „კენჭყარიდან”, ვიდრე, ლავრისხევი-გომიჯვრამდე, ხოლო მარცხნივ - სოფელ ფერმიდან, ვიდრე რენე -კოდისწყარომდე, კასპს დაუბრუნეს, რა თქმა უნდა, სამრეწველო ქალაქის სტატუსიც დაუტოვეს...

და აი, 1965 წლის დეკემბრის ცრიატ დღეს, კასპის რაიკომის აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილების გამგემ, ულამაზესმა, ცისფერთვალება, სიკეთითა და სათნოებით ცნობილმა, პარტიულ ელიტაში ყველაზე ნათელმა პიროვნებამ ვაჟა ყიფიანმა (როგორც პოეტი გურამ კლდიაშვილი იტყოდა), თავის კაბინეტში შეკრიბა კასპის გაუქმებული სტამბა-რედაქციის ყოფილი მუშაკები და თანამდებობებზე აღადგინეს: სტამბა, მისი საქმიანობის დიდებულ მცოდნეს, პოლიგრაფისტს და დამკაბადონებელს, გიორგი ნიჟარაძეს ჩააბარეს, რე

დასასრული. **გვნ.**

გილოცავთ იუბილეს!

ამ ქალაქში ვცხოვრობ და ვმუშაობ 1990 წლიდან. ბუნებრივია, ამ დროიდან ვკითხულობ ამ გაზეთს, მაშინ "განთიადი" ერქვა. იმ დროისთვის გაზეთი იყო ერთ-ერთი საშუალება ინფორმაციის გავრცელებისა. საკითხები და მოვლენები, რაც რაიონის ცხოვრებაში და ზოგადად ქვეყანაში ხდებოდა, გაზეთში ყოველთვის ობიექტურად აისახებოდა. ყოველი სტატიის წაკითხვისას იგრძნობოდა ქართული ენისა და სიტყვისადმი ფაქიზი დამოკიდებულება. რაც შეეხება ხელმომწერის სტატუსის შენარჩუნებას, ჩემი აზრით, ყველა მოქალაქის ვალია, ხელი შეუწყოს იმ ინსტიტუციის არსებობას, რომელიც საზოგადოებისთვის სასიკეთო საქმეს აკეთებს. გაზეთის შემთხვევაში ხელშეწყობის ერთ-ერთი პირობა გაზეთის ხელმოწერაა. მკითხველის სტატუსის შენარჩუნებაზე გულწრფელად გეტყვით, ეს არის ჩემი ინდივიდუალური დამოკიდებულება იმ ადამიანების მიმართ, ვინც ამ გაზეთს ქმნიდა და სიცოცხლისუნარიანობას მატებდა. ქალბატონი ნორა ედიშერაშვილი, ამირან ტალახაძე, ლიანა ძნელაძე, ვალიდა უზნაძე, აწ განსვენებული ბატონი თამაზ შეშაბერიძე, დალი მელაძე, რუსუდან ხეჩუაშვილი და სხვები.

გაზეთს როცა ხელში ავიღებ, ის ბობოქარი წლები მახსენდება და ის ადამიანები, რომელთა შინაგანი მრწამსი იყო ობიექტურობა, ქართული სიტყვის სიწმინდეზე ზრუნვა და ფიქრი, რაც დღესაც რჩება. გაზეთის მესვეურებმა უკეთ იციან, რა და როგორ უნდა გაკეთდეს.

მე პრინციპში შენიშვნები არ მაქვს. ერთი თხოვნა მექნება: მეტი დრო დაუთმონ ჩვენი ქვეყნის ისტორიაში არსებული გმირული ეპიზოდების ბეჭდვას. დაიბეჭდოს მოკლე ინტერვიუ ან ცხოვრების ეპიზოდები იმ ადამიანებისა (ცნობადი და უცნობი სახეები), რომლებმაც კასპის ისტორია შექმნეს.

ნამდვილ ჟურნალისტიკას საფრთხე არ ემუქრება. ჟურნალისტი უნდა იყოს ობიექტური და არც ერთ შემთხვევაში მხარე. ჟურნალისტის სამეტყველო ენა უნდა იყოს ზედმიწევნით ქართული, სალიტერატურო. ამ შემთხვევაში გაზეთი ყოველთვის მოთხოვნადი და სიცოცხლისუნარიანი იქნება.

საიუბილეოდ გაზეთს ვუსურვებ წარმატებებს, ტრადიციების გაგრძელებას, მუდმივად საზოგადოების და ქვეყნის ცხოვრებასთან ორგანულ დამოკიდებულებას, მისი მაჯისცემის შეგრძნებიდან გამომდინარე სტატიების ბეჭდვას.

მამუკა ბერიძე, შპს "მარიმედის" დირექტორი.

ი უ ბ ი ლ ა ს ი

(წერილი მეექვსე)

დასასრული.

დაქტორის მოადგილედ ისევ გიორგი მალაციძე დაბრუნეს, პასუხისმგებელ მდივნად, კასპის მეორე სკოლიდან ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, ლევან ელისაბედაშვილი გადმოიყვანეს, სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგედ, ჩინებული მეურნე და უსაყვარლესი პიროვნება ირაკლი სოზიაშვილი (ჩვენი ირაკლი, როგორც მას ვეძახდით) დანიშნეს, მშრომელთა წერილების განყოფილება - კომკავშირის რაიკომის ინსტრუქტორს, გულო მჭედლიშვილს ჩაბარეს, კორექტორად ისევ ზინაიდა ქისტიშვილი იხმეს. შეავსეს ტექნიკური პერსონალიც. მეორე დღეს თბილისიდან ცენტრალური კომიტეტის მიერ გამოგზავნილი რედაქტორი, ცნობილი პოეტი, ჟურნალისტი და დრამატურგი, გურამ კლდიაშვილიც ჩამოვიდა და... ჩვენს პატარა დაბაში, პირველი მაისის ქუჩაზე მდებარე ცემენტის ქარხნის სასტუმროს სამ პატარა ოთახში, გაზეთ „კომუნიზმისაკენის" რედაქციამ ფუნქციონირება დაიწყო. იმავე ქუჩაზე, ტექნიკური სასწავლებლის გვერდით, ერთსართულიან, კეთილმოუწყობელ შენობაში, სტამბა განათავსეს და სამუშაო მაგიდებთან დადგნენ გამოცდილი ასოთამწყობები: ილია გორგაძე, ჟუჟუნა საჩალელი, მარიამ ტურაშვილი, ვარდიკო გუგულაშვილი, ვალია მანუსაჯიანცი, შემდეგ შეუერთდნენ ქეთევან თაგვიაშვილი, შოთა რევაზიშვილი და სხვები, საბეჭდი დაზგა ჩაბარეს ალბერტ შაველაშვილს (მერე მოვიდნენ გაიოზ აივაზოვი, და თამაზ ქარქუსაშვილი)... აღდგენილი გაზეთის პირველი ნომერი მალე მომზადდა და 1966 წლის 1 იანვარს, „კომუნიზმისაკენის" საღებავშეუმშრალი ეგზემპლარები რაიონის სოფლებში ჩამოარიგეს...

ამ დიდებულ კოლექტივს, 1966 წლის 20 თებერვალს შევუერთდი (გადმომიყვანეს ხოვლის საშუალო სკოლიდან, სადაც ვმუშაობდი დირექტორის მოადგილედ საწარმოო სწავლების დარგში, უკვე ვთანამშრომლობდი რესპუბლიკურ და რაიონულ პერიოდულ პრესაში, ჟურნალებში („საქართველოს ქალი", „დროშა").

ეს იყო ჩემი ცხოვრების საუკეთესო წლები თავისი წარმატებებით, სიხარულით, შუქჩრდილებით, აღმართებითა და დაღმართებით, ადამიანური განცდებითა და სისუსტეებით. ცხოვრება და შრომა თანდათან უმჯობესდებოდა, სტამბაში ახალი დაზგა-დანადგარები შემოდიოდა, ყავლი გაუვიდა ასოთამწყობების საქმიანობასაც, ლინოტიპს მიუსხდნენ ილია გორგაძე და შოთა რევაზიშვილი, გაზეთის დაკაბადონება იტვირთა გიორგი ნიჟარაძემ (სტამბის დირექტორის პოსტი დატოვა), სტამბა კი გაზეთის გამოშვებასთან ერთად საკანცელარიო ბლანკების და სხვა საქმიანი ქაღალდების დამზადებას შეუდგა.... ცვლილებები ხდებოდა რედაქციაშიც; მივიღეთ ავტომანქანა „ვილისი", საცხოვრებელი ბინები მოგვცეს გურამ

კლდიაშვილს, ამ სტრიქონების ავტორს და მოგვიანებით შემოერთებულ ჟურნალისტს, რუსუდან ხეჩუაშვილს, რომელსაც მშრომელთა წერილების განყოფილება ჩავაბარეთ.

ჟურნალისტები მოდიოდნენ და მიდიოდნენ, აქ ცდიდნენ კალამს თბილისელი ზაირა სხირტლაძე, კასპელი ზაურ მენაბდიშვილი, ამირან ტალახაძე, ალექსანდრე კახიშვილი, ვალიდა უზნაძე.

სოფლის მეურნეობის განყოფილებას (ირაკლი სოზიაშვილის შემდეგ) ხელმძღვანელობდნენ: პროფესიონალი ენტომოლოგი და მცენარეთა დამცველი, თვალსაჩინო ქალბატონი ვენერა ამირეზაშვილი, მერე კი, მუზეუმიდან გადმოიყვანეს, მუდამ დაუზარელი და ენერგიული ქალბატონი დალი მელაძე.

... გაუმართლა გაზეთს, რომ კარგი რედაქტორები გვყავდა, რაც თავიდანვე დაებედა: შალვა შაველაშვილი, ვანო ბუზალაძე, ელიზა გულვერდაშვილი, ვახტანგ ელისაბედაშვილი, პეტრე ჯავახაძე, ალექსანდრე ბეჟანიშვილი, გიორგი მალაციძე და სხვები, ის პიროვნებები იყვნენ, რომლებმაც კვალი დატოვეს გაზეთის ცხოვრებაში.

მათგან ესტაფეტა კი თვალსაჩინო მივიღეთ. გაზეთს ამშვენებდა და კასპსაც, ცნობილი ქართველი მწერალი, დრამატურგი, იუმორისტი და ჟურნალისტი გურამ კლდიაშვილი, მისი თავკაცობით ვიმარჯვებდით რესპუბლიკურ კონკურსებში, ვმონაწილეობდით ჟურნალისტთა ყრილობებზე, ბიჭვინთის შეხვედრებზე...

კარგი ორგანიზატორი გახლდათ განსწავლული ლიტერატორი და პიროვნება თამაზ შეშაბერიძე, გაზეთს თავისი კვალი დაამჩნია ცნობილმა მწერალმა, ჟურნალისტმა და პუბლიცისტმა თემურ ჟღენტმა (რომელიც გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის" რედაქციიდან მოვიდა)... დღეს კი ამ პოპულარულ გაზეთს ხელმძღვანელობს თანაქალაქელი, დიდი ნოდარ ტაბიძის აღზრდილი და ჩვენი გაზეთის ფურცლებზე დაფრთიანებული ჟურნალისტი, ქალბატონი ნანა მერებაშვილი (მისი დამსახურებაა, რომ დღეს გაზეთი შეუფერხებლად გამოდის).

გასახსენებელი ბევრი მაქვს, სიხარულთან ერთად ტკივილიც ვატარეთ, მავანთა შური და მტრობაც არ გვაკლდა, ზემდგომთა მარწუხებიც გვიჭერდა, თუმცა, ვერ უარვყოფ, რომ დიდ დახმარებას გვიწევდნენ რაიონის თავკაცები, კარგი ურთიერთობა გვქონდა ვლადიმერ ქერქაძესთან, ამ დიდებულ მამულიშვილთან, რომელმაც კასპი ააშენა და მართლა ქალაქს დაამსგავსა, მისი დასტურითა და თანადგომით მოხდა, რომ გურამ კლდიაშვილმა, 1967 წელს, გაზეთს, პირვანდელი, ოდიოზური სახელწოდება, დღევანდელი გადასახედიდან არც თუ სასიამოვნო სახელი „კომუნიზმისაკენ", ჩამოაცილა და სანაგვეში გადააგდო, მის ნაცვლად კი „განთიადის" სახელწოდებით გაუგზავნა მრავალრიცხოვან მკითხველს (ტირაჟი 9.500-დან, 10.000-მდე აღწევდა).

გაზეთის რედაქციას მხარში ედგნენ ისეთი კეთილშობილი ხელმძღვანელები, როგორებიც იყვნენ: ლევან ისაკაძე, ვლადიმერ ოდიშვილი., ნინო მირიანაშვილი...

გაზეთი მრავალფეროვანი, შინაარსით დატვირთული, ფაქტებით, მოვლენებით და საქმით გაჯერებული გამოდიოდა, სად არ მივდიოდით, ფეხით ვკეცავდით რაიონის ველ-მინდვრებს, ბაღ-ვენახებს, ყველა საწარმოს კუთხე-კუნჭული ვიცოდით, რესპონდენტებს ვხვდებოდით, ინტერვიუებს ვიღებდით, მკითხველთა, შტატგარეშე კორესპონდენტების კონფერენციებს და თათბირებს ვატარებდით... ადგილობრივთან ერთად, „საქინფორმის",„ "საკდესის", "ტაასის", და სხვა დეპეშათა სააგენტოების მიერ გამოგზავნილი მასალებითაც ვამდიდრებდით...

მერე?

მიჭირს წერა, გახსენება, ფიქრი მღლის და სული მეწვის.. წამოგვეწია ავადსახსენებელი, 90-იანი წლების კატაკლიზმები, გადააფასა ღირებულებები, მიწისაგან პირისა აღგავა ბევრი რამ და კასპის სტამბამ, პირველი მაისის ქუჩაზე, ჩაილურის წყალი დალია (დღეს ფარნავაზის ქუჩის სახელით არის ცნობილი), გაგვიყიდეს კასპის განაპირას, გურამიშვილის ქუჩაზე, ჩვენთვის აშენებული სტამბა-რედაქციის შენობა, ჯართში ჩააბარეს რუდუნებით შეძენილი დაზგა-დანადგარები, დაიფანტნენ დახელოვნებული სპეციალისტები, ჟურნალისტები, მხოლოდ სამი მუშაკი შემორჩა რედაქციას და, უზის ახლა, კომპიუტერს, რედაქტორი, უმშვენიერესი ქალბატონი, ნანა მერებაშვილი, საკრებულოს შენობაში მიჩენილ ერთ პატარა ოთახში (ორი ოთახი მისცეს) და გაზეთ „ახალი განთიადის" საიუბილეო ნომერს ამზადებს..

„ახალი განთიადი" („განთიადი") 90 წლისაა, 2021 წლის 7 ნოემბერს მისი იუბილეა... ვწუხვარ, რომ საიუბილეო თარიღს ვერ მოესწრო ბევრი მისი ღვაწლმოსილი მუშაკი... წავიდა სტამბისა და რედაქციის მუშაკთა უმრავლესობა, უკანასკნელ გზაზე გავაცილეთ „ჩვენი ირაკლი", დიდებული რედაქტორები: ალექსანდრე ბეჟანიშვილი, გურამ კლდიაშვილი, თამაზ შეშაბერიძე, ლიტერატურული მუშაკი ალექსანდრე (კახა) კახიშვილი, ფოტოგრაფი ვლადიმერ მჭედლიშვილი.. უკეთილშობილესი ქალბატონები: დალი მელაძე, ზინაიდა ქისტიშვილი, ნათელა ფარემუზაშვილი და სხვები ..

დასანანია, რომ სულ ახლახანს, ნაადრევად მოეცარა ხელი, მუდამ დაუდგრომელ, გაზეთზე შეყვარებულ, ენერგიულ, თავისებური ხელწერის მქონე ჟურნალისტს, ქალბატონ რუსუდან ხეჩუაშვილს, არადა, როგორ ელოდა ამ დღეს!

ნათელი ადგეთ!

იუბილეს ვულოცავთ, „განთიადის" ყოფილ რედაქტორს, თემურ ჟღენტს, „ახალი განთიადის" დღევანდელ რედაქტორს, ქალბატონ ნანა მერებაშვილს, თანამშრომლებს: ამირან ტალახაძეს, მარინა როსებაშვილს; ასევე, ყოფილ შემოქმედებით და ტექნიკურ მუშაკებს: მედიკო მზარეულაშვილს, მარინა აღაპიშვილს, მაია ხალათაშვილს, ქეთევან ხუციშვილს, ლევან წითურაულს, მევლუდ მერებაშვილს, მიხეილ მარქარაშვილს, მერაბ კიტრიაშვილს, ნინელი ზაქარიაშვილს, ნაილი მამულოვს; ყოფილი სტამბის დირექტორს, გივი მენაბდიშვილს, მის თანამშრომლებს: შოთა რევაზიშვილს, ქეთევან თაგვიაშვილს და სხვებს, გაზეთის მკითხველებს!...

ქართულ პერიოდულ პრესას, წლების განმავლობაში ამშვენებდა (და ახლაც ასეა) მარად უბერებელი რუბრიკა: „არავინ და არაფერი დავიწყებული არ არის!.."

დიახ, არავინ და არაფერი დავიწყებული არ არის.

გაზეთი, „ახალი განთიადი" („განთიადი"), ცოცხლობს, სუნთქავს და ჯერაც რაიონის ცხოვრების მემატიანეთა რიგებშია, ვულოცავ იუბილარს!

ნორა ედიშერაშვილი, რედაქტორის მოადგილე 1973-1992 წლებში, ღირსების ორდენის კავალერი.

„სრულიად საიდუმლოდ„ ანუ როგორ გადავნვით ბიჭვინთაში ზღვის სანაპირო „განთიადის„ წყალობით

ეს ამბავი დღემდე არ გამიმჟღავნებია: ვერ ვხედავდი ამის საჭიროებას... ვფიქრობ, საამისოდ ახლა შესაფერისი დროა, უმთავრესად 2 გარემოების გამო:

პირველი – ამგვარი ამბის დაბეჭდვაზე არც ერთი რედაქტორი იტყვის უარს.

მეორე – დღეს აფხაზეთში რაც ხდება, ყველამ ვიცით. აფხაზეთის თემა კი გვტკივა, მაგრამ ვერ ვწამლობთ, რადგანაც დასტაქრებად ვერ ვვარგივართ.

გაზეთ "განთიადის" მეშვეობით, ბიჭვინთაში ორჯერ გახლდით ახალგაზრდა შემოქმედთა და ჟურნალისტთა რესპუბლიკურ შეკრებაზე. პირველად ეს იყო 1985 წელს. ის პერიოდია, პროგრამა "პიკის საათმა" მხრები რომ გაშალა და რადიომსმენელი მაგნიტივით მიიწება; ის დროა, ახალბედა მწერალი და რეჟისორი გოდერძი ჩოხელი პირველ მოთხრობებს რომ წერს და მოკლესიუჟეტიან ფილმებს იღებს... "შემოქმედთა სახლის" სასადილოში მაგიდას სამნი ვუსხედვართ – გორელი ტარიელ გურგენიძე, ქარელელი შოთა მაჭარაშვილი და თქვენი მონა-მორჩილი, "განთიადის" წარმომადგენელი. მეოთხე სკამი თავისუფალი იყო ორ დღეს, მესამე დღეს შემოგვიერთდა უცნობი ტიპი და იმ წუთიდან შეკრების ყველა მონაწილემ იცოდა, რომ თბილისიდან საგანგებოდ ჩამოვიდა გოდერძი ჩოხელი და საღამოს კლუბში პირველად გვიჩვენებდა ახალგადაღებულ "ბაკურციხელ ხევსურს", რომლის ჩვენება ტელევიზიით მხოლოდ ერთხელ მოესწროთ.... მაგიდის ახალწვეულს გულისკარი გავუხსენით და მანაც ნაღდი მოხევეობა გვიჩვენა, მაჭარაშვილს შვილების მონათვლასაც დაპირდა, შეკრების დღეებში სასტუმროს ფოიეში მან დღე აყარა მაგიდის ჩოგბურთის მოყვარულ რუს ბერიკაცს, მტრისას ეს ამბავი, ერთ მოთხრობათა ღირს, მაგრამ უმთავრესი შეკრებების ბოლო დღისათვის ჰქონოდა ჩაფიქრებული, ჩვენ ეს არ ვიცოდით... ვახშმის შემდეგ ზღვის სანაპიროზე გავედით ყველანი და გამოსამშვიდობებელი კოცონისათვის ვიღაცეებმა ზღვის მლაშე წყლით გაჟღენთილი ჩინჩხვარი შეაგროვეს. ცეცხლის მოკიდება არ გინდა? ვერავინ ასანთით ვერ ივაჟკაცა, გავარდა ეს ჩვენი გოდერძი და "ბაკურციხელი ხევსურის" ფირი არ გამოიმეტა? – უკან, ისევ თბილისში რა მათრევინებსო! კოცონის აგიზგიზების მომლოდინეთა სავალალოდ სპეცხსნარით დამზადებულ კინოფირსაც პირი ვერ მოჰკიდა ცეცხლის ალმა.... ბიჭვინთის სანაპიროზე ცეცხლის დანთებას ვერ ვახერხებდით ქართველი ჟურნალისტები!.. აი, მაშინ იყო, კასპიდან საგანგებოდ წაღებული "განთიადის" ნომრები რომ მივეცი ცეცხლს და ჩოხელის ფირიცა და ზღვიური ფიჩხი-ფუჩხიც ერთიანად აბრიალდა... ლამის მართლა გადავწვით მთელი სანაპირო მწვანე ზოლი, რადგანაც ღამით კოცონის ენებს ფიჭვის კორომებამდე მიეღწია...

ეხ, რა ვიცოდით მაშინ, რომ სულ რამდენიმე წელში ბიჭვინთასაც, შავი ზღვისპირა განთიადსაც, გაგრა-სოხუმსაც და მთელ აფხაზეთსაც ისეთი ცეცხლის აგიზგიზებით დავკარგავდით, რომლის ჩაქრობას დღემდე ვერ ვახერხებთ და როდის შევძლებთ, ამას კაციშვილი ვერ გვეტყვის საქართველოში. არადა, ცეცხლის ჩაქრობა მხოლოდ მას ძალუძს, ვინც ანთებს, მით უმეტეს – ომის ცეცხლისა.

ამირან ტალახაძე.

ჩემი გაზეთის იუბილე

ჟურნალისტიკა, პრესა, პერიოდიკა მუდამ მიმაჩნდა განსაკუთრებულ ქურუმად აზრის თავისუფლების გამოხატვისა და ქართული სიტყვის "დაცვისა". ჩემმა ოჯახმა და თითქმის ყველა ახლობელმა კარგად იცის, ეს თემები ჩემთვის ისეთივეა, როგორც დედა, საშობლო, ოჯახი, რელიგია. დედაჩემი "განთიადზე" ერთი წლით უფროსი იყო. ის იყო პირველი მასწავლებელი, როგორ მოვპყრობოდი თითო სიტყვას, რა ბრუნვით მეხმარა, სად ჩამესვა ნაცვალსახელი და როგორ გამომეყენებინა აზრის სწორად გამოთქმის მიზნით, და პუბლიცისტიკა ამისი მიღწევის შესაძლებლობის მიზნით – მან დამანახა.

"განთიადი", როგორც გაზეთი, 1967 წელს შემოვიდა ჩემს ცხოვრებაში. მე-7 კლასელი ვიყავი. რამდენიმე სტატია იმ დროინდელ "ნორჩ ლენინელში" მქონდა გამოქვეყნებული. და უცებ მომცეს დავალება – ლექსი დამეწერა ამ გაზეთისათვის რევოლუციის 50 წლისთავზე (პედაგოგებთან ვინ "ჩამიშვა", ლექსებს წერსო, დღემდე არ ვიცი). არ დაგიმალავთ და ის ლექსი, რომელიც რედაქციაში წავიდა – ჩემი და დედაჩემის ერთობლივი "წვის" ნაყოფი იყო.

იმ პერიოდიდან "განთიადს" ყოველთვის ვკითხულობდი. ის ხომ რაიონის ყველა ოჯახის განუყოფელი ნაწილი იყო. სკოლის ცხოვრების შემცველი რამდენიმე სტატია გაზეთში მეც გამოვაქვეყნე.

70-იანების დასაწყისში წასული 80-იანი წლების ბოლომდე კასპში აღარ ვცხოვრობდი. გაზეთთან ჩემი ურთიერთობები მხოლოდ ნეკროლოგების გაცნობით იყო შემოფარგლული.

1987 წელს ოჯახით დავბრუნდი რაიონში. ეს ჩემს თაობას ახსოვს: ქარტეხილების დაწყების პერიოდი იყო.

9 აპრილის მოვლენების შემდეგ გაზეთმა უფრო გაიმყარა ობიექტურობის პოზიცია და პრესის ფურცლები ე. წ. "არაფორმალებსაც" დაგვითმო. ასე აღდგა ჩემი ურთიერთობა გაზეთთან.

პირველი ჩემი კორესპონდენტი ვალიდა უზნაძე იყო, მთხოვა გაზეთის საშუალებით მომეთხრო, რა ხდებოდა საქართველოს ეროვნულ მოძრაობაში. ასე დაიწყო.

თემურ ჟღენტი, ნორა ედიშერაშვილი, ვალიდა უზნაძე, მარინა დალაქიშვილი, ჩემი უსაყვარლესი გოგონები დალი მელაძე და რუსუდან ხეჩუაშვილი ერთ ოჯახად ჩამოვყალიბდით და დაიწყო მჭიდრო თანამშრომლობა. სრულ მხარდაჭერას ვუცხადებ რედაქციას და სტამბას ჩემი უფროსი მეგობრის გივი მენაბდიშვილის სახით. ამ ფორმირების განთიადელებს შემოუერთდა ჩემი ბავშვობის ხუჭუჭთმიანი ნანა მერებაშვილი, რომელმაც შემდგომ წლებში მაქსიმალური ძალისხმევა გასწია გაზეთის შესანარჩუნებლად.

რედაქცია ცენზურის გარეშე აქვეყნებდა როგორც პოზიციის, ასევე ოპოზიციის სტატიებს და ურთავდა მართებულ კომენტარს: ეს რედაქციის აზრი არ არის – სტატიას ვაქვეყნებთ ავტორის მოთხოვნით. ეს იყო დემოკრატიის სრული ზეიმი.

გაზეთის ფურცლებზე ვკამათობდით საქართველოს ადგილზე მსოფლიო რუქაზე, იდეოლოგიაზე, ეროვნულ საკითხთა პრობლემებზე და გადაჭრის გზებზე, ცემენტის ქარხნისა და სხვა საწარმოთა მუშაობის პრობლემებზე, ეკოლოგიურ საკითხებზე, ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობაზე; ყველაფერზე – სადაც აზრთა სხვადასხვაობა იყო. დამყარდა მეგობრული კავშირი ახალგორის რაიონული გაზეთის რედაქციასთან, სტატიებისა და თანამშრომელთა ურთიერთმეგობრული ვიზიტების გაცვლით. მოგვიანებით, როცა მე ერთი ოპოზიციური პარტიის წევრი გავხდი, ურთიერთობები შენარჩუნდა და რაიონული გაზეთის სახით ყოველთვის მქონდა ტრიბუნა მიმემართა კასპის რაიონის მოსახლეობისათვის.

გაზეთთან ჩემს ურთიერთობას ჰქონდა სხვა ასპექტიც: პოლიტიკური დისკუსიების გარდა იბეჭდებოდა ჩემი მოთხრობები, ჩანახატები და ლექსები (რომლებიც პირველად ამ ფურცლებზე ქვეყნდებოდა). ამის გამო რედაქციას მადლობას ვუხდი.

ორიათასიანი წლებიდან ჩემი რედაქციასთან ურთიერთობები შენელდა, განელთბილდა და ბოლოს თითქმის შეწყდა. მიზეზი ალბათ ჩემი აქტიური პოლიტიკიდან წასვლაა. შეიძლება გაზეთის ფორმატის შეცვლა, წლები... ურთიერთპატივისცემა და თბილი ურთიერთობები ძველებურია.

არ დაგიმალავთ და ზოგჯერ მაქვს სურვილი, მივიდე რედაქციაში და მისი, როგორც ძველი მეგობრის დახმარებით მივმართო რაიონის მოსახლეობას იმაზე – რა მიხარია, რა არ მომწონს, რას შევცვლიდი.

მაგალითად: კასპის შესასვლელს "ამშვენებს" წარწერა: "მე მიყვარს კასპი". ვიცი, საერთო ფორმაა, სიტყვა "სიყვარული" გულით შეცვალოს. ყველას ავიწყდება, რომ გულს სიძულვილიც შეუძლია. ამას წინათ ქარმა "გული" წააქცია და დარჩა წარწერა: "მე ..... კასპი". პირადად მე ასე აღვიქვი: – მე "უგულო" კასპი! სიმბოლიკას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ამიტომ რად ვამცირებთ ულამაზეს სიტყვა "სიყვარულს" – გულით? არავინ ფიქრობს ამისთანა წვრილმანებზე? ცხოვრება კი წვრილმანებით შედგება.

90 წლისა "განთიადი" იმ პატარა წვრილმანებითა და სტატიებით გახდა.

კომპიუტერული, სატელევიზიო, რადიო სივრცეში პერიოდიკას თავისი ადგილი არ დაუკარგავს; მხოლოდ ჩვენ დავკარგეთ პრესა.

მივესალმები და ვულოცავ გაზეთს იუბილეს. მინდა, მისმა არქივმა ბოლომდე შეინარჩუნოს ერთი პატარა ქალაქის ისტორია, რათა მომავალმა იცოდეს: ნულიდან არაფერი იწყება, საქართველოს ისტორია არც 1983 წლიდან იწყება, არც 1917 წლიდან, არც 1800 წლიდან...

ილია ბესტავაშვილი,
სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის კასპის რაიონული სამსახურის უფროსი.

გილოცავთ იუბილეს!

ჩემთვის დიდი პატივია, დაარსებიდან 90 წლის იუბილე მივულოცო ჩვენი პატარა ქალაქის უკვე ხანმოეულ, დაბრძენებულ და ყველასთვის საყვარელ პერიოდულ გამოცემას, გაზეთ "განთიადს".

ამ გაზეთის ფურცლები იტევს ჩვენი რაიონის ისტორიას, გვაცნობს აწმყოს და მომავლისკენ გახედვის საშუალებასაც გვაძლევს.

მინდა, მადლობა გადავუხადო ყველა იმ ადამიანს, რომელთა დიდი ძალისხმევით იქმნებოდა და იქმნება თითოეული ნომერი, განსაკუთრებით კი "განთიადის" ამჟამინდელ რედაქტორს, ქალბატონ ნანა მერებაშვილს. ვეთანხმები და სრულიად ვიზიარებ ჩემთვის ესოდენ მშობლიური და საყვარელი გაზეთის დევიზს: ბედნიერია, ვისაც სამშობლოსთვის უძგერს გული! დღეგრძელობასა და მკითხველის გამრავლებას ვუსურვებ "განთიადს".

დაე, კიდევ დიდხანს შემოჰქონდეს სინათლე და უკეთესი მომავლის იმედი ჩვენი ქალაქის, მთელი მუნიციპალიტეტის ცხოვრებაში!

სიყვარულით კასპის პირველი საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი მარინა მენაბდიშვილი.

"განთიადი" ტრადიციულად ქმნიდა ამინდს ჩვენს ქალაქსა და მუნიციპალიტეტის (მაშინ რაიონის) ყველა სოფელში, წინა საუკუნეში და სხვა ხელისუფლების დროს.

ბებიები მახსენდება, არც ერთს არ უცხოვრია "განთიადის" გარეშე. მე ყველაზე ბედნიერი მაშინ ვიყავი, პირველად როცა ჩემი სახელი და გვარი წავიკითხე გაზეთში.

ახლა ვისურვებდი, ყველა სოციალურ ქსელში იყოს გაწონასწორებული და ობიექტური ჟურნალისტიკის მისაბაძი სახე გახდეს ქართულ მედიასივრცეში.

გილოცავთ, მინდა 100 წლის იუბილე მოგილოცოთ. გისურვებთ, საინფორმაციო საშუალებები თქვენი გაზეთის სანდოობას ეყრდნობოდნენ, მრავალ გვერდს, ჟურნალისტების სიუხვეს, კარგ სპონსორებს, საკუთარ შენობას, სადაც იქნება ჟურნალისტიკის სკოლა, და ულევი სიხარული "განთიადის" პატარა მუზეუმით და არქივით.

ნინო იაშვილი,
პედაგოგი.

სპორტული (კოვიდური) სეზონის მიწურულს

საყოველთაო პანდემიურ-ვირუსული "ამინდის" მიუხედავად, ავად თუ კარგად, იხურება წლევანდელი სასპორტო სეზონიც. დიდხანს გვემახსოვრება ერთი წლის დახანებით ჩატარებული იაპონური ოლიმპიადა და სხვა დიდი შეჯიბრებები. განვლილ თვეებში კასპელმა სპორტსმენებმა (უფრო ნაკრებების წევრებმა)

მაინც მოახერხეს თავის გამოჩენა შიდასაქვეყნო თუ საერთაშორისო ასპარეზობებში. აგერ, ნოემბერ-დეკემბერშიც მოველით მათგან ახალ წარმატებებს. ასეა თუ ისე, მათ მიერ წლის განმავლობაში მიღწეული შედეგებისა და მოპოვებული ჯილდოების შეჯამების დრო სახვალიო საქმეა. და, მაინც, სავარაუდოდ, წლიური შედეგების გათვალისწინებით, მუნიციპალიტეტის საუკეთესო სპორტსმენთა 10-ეულში მოხვდებიან: ბექა ბერძენიშვილი (ჭიდაობა სამბო), ირაკლი დემეტრაშვილი (ჭიდაობა ძიუდო), ჯაბა პაპინაშვილი (ჭიდაობა ძიუდო), სიმონ ორბელაშვილი (ძალისმიერი სამჭიდი, წოლჭიმი), გიორგი ყეინაშვილი (მძლეოსნობა, ბირთვის კვრა), მარიამ მანძულაშვილი (კარატე), ეთერ სულაშვილი (ფეხბურთი)...

კასპის მუნიციპალიტეტის სპორტის დაწესებულებების გაერთიანება.

სპორტ INFO

კულტურული ცხოვრების ქრონიკები

როცა ჰაგრა ქალაქის სცენას დედაქალაქის თეატრის კამერული ორკესტრი სტუმრობს...

რამდენი ხანია, ჩვენი ქალაქის ძველი კულტსახლის დარბაზი აღარ გადაუვსია ჭეშმარიტ ხელოვნებას დანატრებულ მაყურებელს, მის სცენაზე აღარ გამოსულან დედაქალაქის ცნობილი კოლექტივები და ანსამბლები, ინდივიდუალური შემსრულებლები.

იმ დღესაც, რაღაც მომაბეზრებლად უჩვეულო და იდუმალი მოწყენილობა სუფევდა ყველა კასპელისათვის კარგად ნაცნობი დარბაზის კედლებში, სცენის კულისებში, სანამ იქაურობა არ გამოაცოცხლა და არ აახმიანა კამერული ორკესტრის მხრიდან გაჟღერებულმა მუსიკალურმა ჰანგებმა (ჯერაც სარეპეტიციო მზადებისას, მერე კი საკონცერტო ნომრების შესრულებისას).

როგორ, არ გსმენიათ იმ საკონცერტო პატარა დღესასწაულის თაობაზე, 18 ოქტომბერს კასპის კულტურის ცენტრში რომ გაიმართა?

დასანანია, რომ არსებული პანდემვითარების რეგულაციებიდან გამომდინარე, ვერ მოხერხდა მისი რეკლამირება და აფიშირება.

მაშინ, როცა კოვიდური სიტუაციის გამოისობით, პატარა ქალაქებსა და რეგიონულ ცენტრებში მარწუხებშია მოქცეული კულტურული ცხოვრებაც, კარგია, რომ დედაქალაქური მუსიკალური, სახელოვნებო და გასართობი კოლექტივები დროდადრო მაინც ახერხებენ "გასვლითი დესანტის" გადასროლას (გამგზავრებას) თბილისის ფარგლებგარეთ – ამ საქმეს თავს ადგამს სულაც კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო.

დიახ, ახლა ასე მოხდა: კასპში შინაარსიანი შემოქმედებითი საანგარიშო საღამო გამართა ქ. თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის კამერულმა ორკესტრმა (ხელმძღვანელი – ვახტანგ რაქვიაშვილი, მაესტრო – ნიკა ნიკვაშვილი).

აქვე წარმოგიდგენთ ორკესტრის მუსიკოს-შემსრულებელთა ვინაობას: ლელა მჭედლიძე, ელენე მეგრელიშვილი, მარი ნებიერიძე, ზაზა თორაძე, გიორგი იმანოვი და მიხეილ ქართველიშვილი.

ისევ და ისევ კოვიდსიტუაციური მდგომარეობის მოთხოვნების გათვალისწინებით, საკონცერტოდ მცირე რაოდენობით შეკრებილი კასპელი მაყურებლის წინაშე, მაღალოსტატური საშემსრულებლო დონითა და ჩვეული პროფესიონალიზმით წარსდგა საქართველოსა და უცხოეთში კარგად ცნობილი ორი მომღერალი ქალბატონი:

მანანა მენაბდე – მუსიკოსი, მწერალი, მხატვარი, კერამიკოსი, მსახიობი – მრავალმხრივი ნიჭიერებითა და გაქანებით გამორჩეული ხელოვანი, ვინც, აგერ, 30 წელია, ქ. ბერლინში ცხოვრობს და მსოფლიოს კონტინენტებზე ქართულ კულტურას დესპანობს, მის ტრადიციებს, ისტორიასა და დღევანდელობას წარმოადგენს;

მანანა თოდაძე – საესტრადო მომღერალი და მსახიობი, დამსახურებული არტისტი, რომელიც 15 წლის ასაკიდან გამოჩნდა მუსიკალურ სფეროში, ვოკალურ-ინსტრუმენტულ ანსამბლთან – "ივერიასთან" ერთად თითქმის მთელი მსოფლიო შემოიარა რეკორდული რაოდენობის კონცერტებით, შოუპროგრამებით, მიუზიკლებით, დადგმებით.

კასპის მუნიციპალიტეტის კულტურისა და სახელოვნებო სკოლების დაწესებულებების გაერთიანება.

კასპის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკებისა და მუზეუმების გაერთიანება

მიღებულია ახალი წიგნები:

* სერვანტესი, "დონ კიხოტი"; მახვილგონიერი იდალგო დონ კიხოტი ლამანჩელი ესპანელი მწერლის მიგელ დე სერვანტესის რომანი. მიეკუთვნება ესპანური ლიტერატურის ოქროს ხანას. ნაწარმოების მნიშვნელობა კარგად ჩანს იმ ფაქტიდან, რომ ზოგიერთი მკვლევარის თანახმად, დონ კიხოტი მსოფლიო ტირაჟით მხოლოდ ბიბლიას ჩამორჩება. დონ კიხოტის პოპულარობის ერთ-ერთი მიზეზი არის ის, რომ მასში მსუბუქი იუმორისტული და ხშირად სატირული ფორმით არის გადმოცემული ღრმად ფილოსოფიური აზრები ცხოვრების შესახებ.

* შაფაქი, "სიყვარულის 40 წესი";

თურქი მწერალი ელიფ შაფაქი ცხოვრობს ამერიკასა და თურქეთში. მშობლიური თურქულის გარდა, წერს ინგლისურად. თანამშრომლობს ამერიკულ და ევროპულ პრესასთან. რომანი ,,სიყვარულის ორმოცი წესი", ინგლისურად დაწერილ მის სამ რომანთაგან ერთ-ერთია. თანამედროვე ამერიკელი ქალის ერთფეროვან ცხოვრებაში ქარიშხალივით შემოიჭრება ორი საოცარი და საოცნებო სამყარო: სიყვარული და ... აღმოსავლეთი!

* ტ. იანსონი, "კომეტა მუმინების ეპოქაში";

მუმინტროლი, სნუსმუმრიკი, ჰემული, სნიფი და უამრავი სხვა არსება, რომლებიც მუმინების ზღაპრულ ხეობაში ცხოვრობენ, უკვე რამდენიმე ათწლეულია, მილიონობით ბავშვს ხიბლავენ მთელ მსოფლიოში.

* ი. მალაციძე, "სატკბილეთის ქვეყანა"; სატკბილეთი ზღაპრული ქვეყანაა, სადაც ყველაფერი ტკბილი და გემრიელია. აქ სახლები მურაბის ქილებს ჰგავს, ციდან ტკბილი წვიმა მოდის, შოკოლადის ჯებირებს შორის კი ლიმონათის მდინარე მოედინება. .

*დედამიწის ენციკლოპედიის ხუთტომეული (კომპლექტი);

ენციკლოპედია თემების მიხედვით 5 წიგნად არის დაყოფილი და თითოეულზე სიღრმისეულ ანალიზსა და ამომწურავ ინფორმაციას გვთავაზობს.

*საქართველოს გეოგრაფიული ატლასი;

*მედიცინა, ილუსტრირებული ისტორია;

*იუვალ ნოახ ჰარარი, "საპიენსი"; 100 000 წლის წინ დედამიწაზე ადამიანთა, სულ მცირე, ექვსი სახეობა ცხოვრობდა. მათგან მხოლოდ ჩვენი სახეობა ჰომო საპიენსი გადარჩა. როგორ მოვაღწიეთ დღემდე? როგორ მოახერხეს ჩვენმა მონადირე-შემგროვებელმა წინაპრებმა ქალაქებისა და სამეფოების შექმნა?

რატომ გვჯერა ღმერთების, ერების და ადამიანის უფლებების?

* მ. რატიშვილი, "ჯუღა"; ჟენევის ერთ-ერთ პრესტიჟულ რესტორანში, ახალგაზრდა ქალი, საიდუმლო ორგანიზაციის მრჩევლების შეხვედრისა და საუბრის უნებლიე მონაწილე ხდება, მოსმენილი ინფორმაციით დაინტრიგებული, მალულად ინიშნავს საკვანძო სიტყვებს. თავგადასავლების მოყვარული ირენი, გადაწყვეტს გაარკვიოს, რამდენად შეესაბამება რესტორანში მოსმენილი საუბარი სიმართლეს და ახალგაზრდა ყმაწვილს, ილიას (შეყვარებულს) მისი ნების გარეშე ჩაითრევს ავანტიურაში.

*ს. მასი, "ნისლის და მრისხანების სამეფო";

*დოქტორი სიუსი, "როგორ მოიპარა გრინჩმა შობა";

*სუნ ძი, "ომის ხელოვნება";

სუნ ძის ომის ხელოვნება უძველესი და უმნიშვნელოვანესი ჩინური სამხედრო და ფილოსოფიური ტრაქტატია. იგი ჩვენს წელთაღრიცხვამდე მე-5 საუკუნეში შეიქმნა და დღემდე ითვლება სამხედრო ტაქტიკისა და სტრატეგიების სრულყოფილ სწავლებად.

* ჯ. ბარნსი, "დასასრულის განცდა"; აღსანიშნავია, რომ "დასასრულის განცდას" ბუკერის პრემია მიენიჭა.

კასპში ახალი სახანძრო-სამაშველო შენობა აშენდება

კასპში ახალი სახანძრო-სამაშველო შენობის მშენებლობის მიმდინარეობის პროცესს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსი თემურ მღებრიშვილი და საქართველოს პარლამენტის წევრი ირაკლი მეზურნიშვილი, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად, პირადად გაეცნენ.

პროექტის განხორციელებისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან მილიონ ლარზე მეტი გამოიყო. კასპის სახანძრო-სამაშველო შენობა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად იქნება აღჭურვილი, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს მეხანძრე-მაშველების სამუშაო პირობებს.

წლების განმავლობაში კასპში სახანძრო-სამაშველო სამმართველო ძველ შენობაში იყო განთავსებული, რომელიც მეხანძრე-მაშველთა მოთხოვნებს არ აკმაყოფილებდა.

კასპის მუნიციპალიტეტს სახანძრო-სამაშველო სამმართველოს თანამედროვე იერ-სახის შენობა 2022 წლის მარტიდან მოემსახურება.

საგზაო ინფრასტრუქტურა 2021

გაბაშვილის ქუჩის რეაბილიტაცია

კასპში, გაბაშვილის ქუჩაზე ასფალტის პირველი ფენის სამუშაოები დასრულდა.

ამჟამად ქუჩის ჩიხებზე ბეტონის საფარის სამუშაოები მიმდინარეობს, რომლის დასრულების შემდეგ ასფალტის საფარის მეორე პირი დაიგება.

გაბაშვილის ქუჩის რეაბილიტაციის სამუშაოებს ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებული შპს "შარა" აწარმოებს.

პროექტი ფინანსდება რეგიონალური განვითარების ფონდისა და კასპის ადგილობრივი ბიუჯეტის მიერ და მასზე 289 750 ლარი იხარჯება.

გაბაშვილის ქუჩის მაცხოვრებლები გზის მოწესრიგებას ითხოვდნენ, რადგან ქუჩა გაუვალი იყო - განსაკუთრებით ნალექიანი ამინდის დროს.

სამუშაოს დასრულების შემდეგ ქუჩა კეთილმოწყობილი და კომფორტული იქნება, - აღნიშნა კასპის მუნიციპალიტეტის მერმა ვახტანგ მაისურაძემ.

მოსახლეობის სოციალური დახმარების პროგრამის 9 თვის შედეგები

კასპის მუნიციპალიტეტის მერიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტს საკუთარი მოქალაქეების ჯანმრთელობაზე ზრუნვა წარმოადგენს. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის გაუმჯობესების მიზნით ყოველწლიურად იზრდება სოციალური პროგრამის მუხლების რაოდენობა და დაფინანსება.

კასპის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ სხვადასხვა კატეგორიის დაავადების მქონე მოქალაქეებს, შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ მერიის ყოველწლიური სოციალური პროგრამის 33 მუხლის დახმარებით.

2021 წლის 9 თვეში მერიის სოციალური პროგრამით 888 453 ლარის ფარგლებში მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულმა 2 242 მოქალაქემ და 361 დევნილმა ოჯახმა ისარგებლა. დაფინანსდა:

ონკოლოგიური ავადმყოფის სამედიცინო და მედიკამენტოზური დახმარება, კიბოს წინარე დაავადებით დაავადებულთა ოპერაციული მკურნალობის თანადაფინანსება,

კარდიოქირურგიული ოპერაციის თანადაფინანსება,

თვალის ოპერაციის და ავასტინის ინექციის თანადაფინანსება,

სიმსივნით დაავადებულ პირთა კვლევები და პროცედურები,

კომპიუტერული ტომოგრაფიის, ბირთვულ-მაგნიტურ-რეზონანსული (მრტ) კვლევის, კოლონოსკოპიის, სცინტიგრაფიის დაფინანსება, კორონაროგრაფია, ანგიოგრაფია, სისხლძარღვების სტენტირება და შუნტირების დაფინანსება,

უფასო მედიკამენტებით უზრუნველყოფა,

თირკმლის უკმარისობით (დიალიზი) დაავადებული პაციენტების დახმარება და საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოძრაობის შეზღუდვის შემთხვევაში ტრანსპორტირების ხარჯის ანაზღაურება,

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დახმარება,

მესამე და მომდევნო შვილის შეძენისას სოციალური დახმარება,

მრავალშვილიანი ოჯახების, მარტოხელა მშობლის, დედ-მამით ობოლი ბავშვების, 18-წლამდე ასაკის უსინათლო შშმ, 18-წლამდე ასაკის შაქრიანი დიაბეტით დაავადებული პირების საკურორტო დახმარება,

სტუდენტების დახმარება,

საყოველთაო სურსათით დახმარების

პროგრამა კასპის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული იძულებით გადაადგილებული ოჯახებისათვის,

კასპის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ასი და ას წელს გადაცილებული ხანდაზმული მოქალაქეებისათვის ერთჯერადი ფულადი დახმარება,

მეორე მსოფლიო ომის მონაწილეებისათვის ერთჯერადი სოციალური დახმარება,

საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლ ინვალიდთა დახმარება,

საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლ ინვალიდთა საკურორტო დახმარება,

ხანძრების შედეგად საცხოვრებელ სახლზე მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად ოჯახის დახმარება და სხვა.

სოციალური პროგრამის მუხლთა რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება. 2021 წელს დამატებულია ახალი მუხლი - ნეიროქირურგიული და ტრავმატოლოგიურ-ორთოპედიული ოპერაციები ხერხემალსა და კიდურებზე და ამ ოპერაციებთან დაკავშირებული კონსტრუქციების დემონტაჟი.

2021 წლის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტით სოციალური პროგრამა განსაზღვრულია 995 000 ლარის ოდენობით, თუმცა საჭიროების შემთხვევაში საკრებულოს გადაწყვეტილებით დაფინანსებას ვზრდით, რათა პროგრამით გათვალისწინებული დაფინანსება წლის განმავლობაში ყველა პაციენტმა მიიღოს. პარალელურად ვზრუნავთ სასოფლო ამბულატორიების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაზეც, - აღნიშნა კასპის მუნიციპალიტეტის მერმა ვახტანგ მაისურაძემ.

გამოგვეხმაურეთ!

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ყველა საჯარო თუ კერძო სკოლას ვაძლევთ შესაძლებლობას გაზეთის საშუალებით ფართო მკითხველს გააცნოს საკუთარი სკოლის ისტორია და აწმყო,

2021-2022 სასწავლო წლის განმავლობაში შესაძლებლობა გაქვთ გაზეთში გამოაქვეყნოთ მშობლიური სკოლის მიღწევები, გაზეთის ფურცლების მეშვეობით საჯარო გახადოთ თქვენი პრობლემები, დასახოთ სკოლის სასურველი სამომავლო გეგმები, ყველას გააცნოთ ღვაწლმოსილი, ახალგაზრდა თუ ახალბედა პედაგოგები, გვიამბეთ სად და როგორ სწავლობთ, რითი ამაყობთ, რა გსურთ.

გაცანით თანარაიონელებს თქვენი კურსდამთავრებული მეცენატები, რომლებიც არ ივიწყებენ ალმა-მატერს.

ცხოვრების საუკეთესო და უმშვენიერეს წლებს ვატარებთ სკოლაში და გვინდა, რომ იქ გატარებული წლები იყოს მნიშვნელოვანი, წარმატებული, დაუვიწყარი.

გამოგვეხმაურეთ!

სოფელ ხიდისყურსა და საქადაგიანოში



საქართველოს წყალმომარაგების კომპანიის მიერ კასპის მუნიციპალიტეტის ორ სოფელში - ხიდისყურსა და საქადაგიანოში სტაბილური წყალმომარაგების სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს.

პროექტის ფარგლებში შენდება რეზერვუარები, ეწყობა წყლის სათავე ნაგებობები, სატუმბი სადგურები და წყალმომარაგების ქსელი. მოსახლეობის გამრიცხველიანების შემდეგ 2 000-მდე ადგილობრივი მოსახლე უწყვეტი წყალმომარაგებით ისარგებლებს.

სამუშაო, რომელსაც შპს "ჰიდროტექნოლოგიური ჯგუფი" ახორციელებს, დასრულდება 2022 წლის გაზაფხულისთვის. პროექტი სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება და მასზე 2,6 მილიონ ლარზე მეტი დაიხარჯება.



სასმელი წყალი სოფელ თვალადს

კავთისხევის ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალ სოფელ თვალადში სასმელი წყლის სათავის და ქსელის რეაბილიტაციის სამუშაოები მიმდინარეობს.

პროექტის ფარგლებში მოეწყო სოფლის სასმელი წყლის ახალი შიდა ქსელი, 15 მ3 და 50 მ3 ტევადობის ორი ავზი, რკინა-ბეტონის ჭები, ტუმბო და სანიტარული ღობე. სამუშაოს ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებული შპს "მამისონი" ახორციელებს.

სამუშაოს ღირებულება 253 573 ლარია, რომელიც რეგიონალური განვითარების ფონდისა და კასპის ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით ხორციელდება. არსებული შიდა ქსელი ძველი და ამორტიზებული იყო. ახალი ქსელი გაზრდის წყლის დებეტს და პროექტის დასრულების შემდეგ 500-მდე მოსახლეს სასმელი წყლის მიწოდება გაუუმჯობესდება, - აღნიშნა კასპის მუნიციპალიტეტის მერმა ვახტანგ მაისურაძემ.

ფიტნესტრენაჟორების 8 კომპლექტი

კასპში გარე გამოყენების ფიტნესტრენაჟორების 8 კომპლექტის მოწყობის სამუშაოები დასრულების პროცესშია.

ფიტნესტრენაჟორები - სამ სოფელში (ოკამი, ლამისყანა, მეტეხი), 5 კი ქალაქის სხვადასხვა ლოკაციაზე (გიორგი სააკაძე, მერაბ კოსტავა, შოთა რუსთაველი, გიორგი მაზნიაშვილი და ალექსანდრე ყაზბეგი) ეწყობა.

პროექტი ითვალისწინებს სავარჯიშო მოედნის, ფანჩატურის და სპორტული ტექნიკის მოწყობას. პროექტი კასპის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება, რომელსაც შპს "ჯეოპარკი" ახორციელებს.

"სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" ფარგლებში გარე გამოყენების ფიტნესტრენაჟორები მოეწყო სოფელ მრგვალი ჭალაში, ზემო რენეში, სასირეთსა და სოფელ ქვემო ჩოჩეთში. სპორტული სივრცის - ფიტნესის ტრენაჟორების მოწყობის მიზანი მუნიციპალიტეტში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება და ხელშეწყობაა.

სოფელ ბოჟამის გზის რეაბილიტაცია

კასპის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელმა დავით ქისიშვილმა გამყოფი ხაზისპირა, მაღალმთიან სოფელ ბოჟამში გზის მოასფალტების პირველი ეტაპის სამუშაოები დაათვალიერა. ასფალტის დაგებამდე მომზადდა გზა, მოეწყო რკინა-ბეტონის კიუვეტები. გათვალისწინებულია გზის გადამკვეთებსა და ეზოში შესასვლელებზე ცხაურების და საგზაო სამოსის მოწყობა.

სოფელ ბოჟამთან მისასვლელი გზის სრული რეაბილიტაცია მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან ფინანსდება, მისი ღირებულება 1 225 655 ლარია და შპს "ენ-დი როუდი" ახორციელებს.

ჩვენი მიზანი მუნიციპალიტეტის საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარებაა, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სოფლად მისასვლელი ყველა გზის მოწესრიგება, - აღნიშნა დავით ქისიშვილმა.

გაზი ყველა სოფელს სოფელ ხოვლის გაზიფიცირება

კასპის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო პროგრამა "გაზი ყველა სოფელს" გრძელდება. სოფელ ხოვლეში ცენტრალური მაგისტრალის გაყვანის და საუბნო დაქსელვის სამუშაოების შემდეგ, მოსახლეობის ინდივიდუალური გამრიცხველიანება მიმდინარეობს. სოფელში, რომელშიც 900 ოჯახამდე ცხოვრობს, პირველი გაზქურა ანთებულია - გამრიცხველიანება კი ეტაპობრივად უბნების მიხედვით გრძელდება.

კასპის მუნიციპალიტეტში გაზიფიცირების სამუშაოებს წლებია საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია და გაზის კომპანია "სოკარ ჯორჯია" ახორციელებენ. პროცესი მუნიციპალიტეტის ყველა სოფლის ბუნებრივი აირით უზრუნველყოფამდე გაგრძელდება.

დღეისათვის მუნიციპალიტეტის 72 სოფლიდან გაზიფიცირების გარეშე მხოლოდ 10 სოფელია დარჩენილი. საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია, იმედია, სამუშაოებს მალე დაიწყებს და მუნიციპალიტეტი სრულად გაზიფიცირებული იქნება, - აღნიშნა კასპის მუნიციპალიტეტის მერმა ვახტანგ მაისურაძემ.

დალი კორკომაშვილი, კასპის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.

რვიათნიც ცვგვზეთთ ფოფო-მვფიანიც შეცვქმნელოვლ. თხოვნით მივმართთვთ თანვრვიათნელოებს - გვმოგვიგზვნეთ წინვპრეებიც ცხოვრებიც ვმცვხველი ცვინფერეცო ლა ცვხვლოცო ფოფოები!

ერთვლ გვეიხცენოთ, როგორ ვცხოვრობდით ...

გურამ კლდიაშვილი

ჩემო მიწავ!

ისე ცოტა მიწა გვაქვს, საყვავილედ არ
გვყოფნის...
ისე ცოტა ზეცა გვაქვს, საფრენადაც არ
გვყოფნის...
ისე ცოტა ვაზი გვაქვს, საჭაშნიკოდ არ
გვყოფნის...
ისე ცოტა წყალი გვაქვს, დასახრჩობად არ
გვყოფნის...

არა! ჩემო მიწაო, დედასავით მართალო!
არა! ჩემო ზეცაო, რწმენასავით მაღალო!
განა მართლა ცოტა გვაქვს ან მიწა და ან
ზეცა,
ჩვენს მისახედ-მოსახედს თვალითაც ვერ
დაკეცავ;
უცბად რომ გაგვივაკდეს ყველა მთა და
მაღლობი,
ზღვარი რომ წაეშალოს დაყოფილს და
დაღობილს,
ერთპირად რომ გვაქცია, ფხა გვექნება
ქვიტკირის,
ვერ მოგვდრეკენ ღმერთები, ვერ მოგვკლავდა
სიკვდილიც;
ცოტა ნიჭიც რომ მოგვცა ერთმანეთის
გატანის,
დასკდებოდა გულები ორგულის და სატანის...

ჩემო მიწათ-მიწაო, უწმინდესო, მართალო!
ჩემო ზეცათ-ზეცაო, ბროლის ხელით ნათალო!
თუ რამ წყენა მიგვიძღვის, დაგვიბრუნე
ალერსად,
ცოტა ლაქა მზესაც აქვს, ცოტა ჩრდილი —
მთვარესაც.
ვერ აგწონის—დაგწონის რა სიმდიდრეც
დაყარონ,
კათედრად გვაქვს მთაწმინდა, დარბაზებად —
სამყარო;
თუმც არასდროს ვყოფილვართ ჩვენი თავის
პატრონი,
სხვათა სჯულს და სამართალს არასოდეს
ვნატრობდით;
თუმც გვიშრობდნენ ცხრაწყაროს, რომ არ
გვეხნა, გვეთესა,
მაგრამ მოწყურებული არ ვყოფილვართ ერთ
დღესაც;
გვიძირკვავდნენ ვენახებს — გლეხის გულის
თანასწორს,
მაგრამ ღვინონაკლული არ ვყოფილვართ
არასდროს;
ტყეს გვიჩეხდნენ უსიერს, ოდით, ჟამით,
ჟამამდი,
მაინც გვქონდა ფილტვები დატენილი
ჟანგბადით;
რადგან გული ერთისა ას კაცს გულად
ეყოფა,
მიტომ სურდათ მოსრესა, მიტომ სურდათ
ხელყოფა;
რადგან მზე გვაქვს იმდენი, არ გვეტევა
სახლებში,
ჩაღვრილი გვაქვს ქვევრებში, გამჯდარი
გვაქვს ძარღვებში...
ჩემო მიწათ-მიწაო, ცოტნესავით მართალო!
ჩემო ზეცათ-ზეცაო, ვარსკვლავივით
გამთბარო!
თუ გვიბრძანებს ვარძია, თუ გელათი
დარეკავს,
დაუმხობელს დავამხობთ, წაულეკავს
წავლეკავთ,
თუ დაგვჭირდა, ძაფივით ნემსის ყუნწში
გავძვრებით,
ფეხს აიდგამს ძეგლები, სულს ჩაიდგამს
ტაძრები;
რადგან შენის დედობით სავსენი ვართ
ყელამდე,
შენს სიმცირე-სიდიდეს შევმატოდეთ
ყველანი!

გარდასულ დღეთა ნათელი თვრეში

1968 წლის 12 თებერვალი საკმაოდ ცივი დღე იყო, მაგრამ კასპის რაიონული გაზეთის რედაქტორმა, ცნობილმა პოეტმა და ჟურნალისტმა, ბატონმა გურამ კლდიაშვილმა ისე გულიანად, თბილად მიმიღო, რომ სულ გადამავიწყდა ის სიცივე, ხუთიოდე წუთის წინ რბილსა და ძვალში რომ მქონდა გამჯდარი.

— ჟურნალისტური საქმიანობის გამოცდილება თუ გაქვს? — მკითხა ბატონმა გურამმა.

— თეორიულად კი, თბილისის ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის ჟურნალისტიკის განყოფილების მესამე კურსის სტუდენტი გახლავართ. პრაქტიკულად, მეორე წელია, გაზეთ "ლელოს" რედაქციაში ვმუშაობ ლიტერატურულ მუშაკად. აი, ყველაფერი ის, რაც ჩემზე შემიძლია ვთქვა, — ვუპასუხე თავჩაღუნულმა.

— და დღეიდან შენს ნათქვამს დაუმატე გაზეთ "განთიადის" ლიტერატურული მუშაკი, — ღიმილით მეუბნება ბატონი გურამი, — "ლელოში" შენ მხოლოდ სპორტული თემატიკით იქნებოდი დაკავებული, აქ კი რაიონის ცხოვრების ყველა საკითხზე მოგიწევს წერა. საკითხთა მრავალფეროვნებამ არ შეგაშინოს. მთავარია, გიყვარდეს შენი პროფესია, იყო გულწრფელი, არ შეგაშინოს ჟურნალისტის მომქანცველმა და დაუფასებელმა, დიახ, დაუფასებელმა შრომამ და გამოცდილებაც, აღიარებაც, სახელიც თავისთავად მოვა.

... ოო, რა მართალი იყავით, ბატონო გურამ! რჩევებმა, წვრთნამ, გამოცდილებამ, რაც მე "განთიადში" მუშაობისას შევიძინე, მართლაც აღიარებაც მომიტანა და ბედნიერებაც.

შეიძლება ვინმეს სასაცილოდ არ ეყოს ჩემი ნათქვამი. ოთხგვერდიან რაიონულ გაზეთში რა გამოცდილება უნდა შეგეძინა ისეთი, რომ რესპუბლიკურ ჟურნალგაზეთებში ვინმეს ყურადღება მიგექციაო.

ნურას უკაცრავად, ბატონებო!

"განთიადში" ჯანსაღი შემოქმედებითი ატმოსფერო სუფევდა. თითოეული წერილის საფუძვლიანი განხილვის გარეშე, არავითარ შემთხვევაში არ გამოვუშვებდით ნომერს. სარეცენზიო დღეებში კი, რომელიც კვირაში ერთხელ იმართებოდა და რომელსაც მე უკვე ვესწრებოდი, როგორც რედაქტორის მოადგილე, განვიხილავდით გამოშვებულ ნომრებს. შეეძელით თუ არა, მკითხველისათვის მიგვეწოდებინა გაზეთი — რაიონის ცხოვრების ცინცხალი ინფორმაციებით.

ასე იყო ჩვენს დროს (უფროსი თაობა მყავს მხედველობაში: გურამ კლდიაშვილი, გიორგი მალაციძე, ირაკლი სოზიაშვილი, ზინა ცერცვაძე, ლევან ელისაბედაშვილი, ნორა ედიშერაშვილი) და შემდეგაც, როცა გაზეთი ახალგაზრდობამ (ნანა მერებაშვილი, რუსუდან ხეჩუაშვილი, დალი მელაძე) ჩაიბარა და რომელთაც ახალი სული შთაბერეს გაზეთს.

"განთიადი", როგორც სხვა რაიონული გაზეთები, პარტიის რაიონული კომიტეტისა და რაისაბჭოს აღმასკომის ორგანო გახლდათ, მაგრამ ეს ოდნავადაც არ გვიშლიდა ხელს შევსულიყავით ნებისმიერ წარმოებადაწესებულებაში და საფუძვლიანად შეგვესწავლა მუშაობა, სავაჭრო, საყოფაცხოვრებო მომსახურების, ინფრასტრუქტურის განვითარების საკითხები.

რაიკომი და აღმასკომი ოპერატიულად განიხილავდნენ ჩვენს კრიტიკულ წერილებს, გამოთქმულ შენიშვნებს და მკაცრ შეფასებას აძლევდნენ უშუალოდ დამნაშავე პირების საქმიანობას, სამსახურიდან განთავისუფლებითაც კი.

დიახ, ნამდვილად ვამაყობ, რომ "განთიადში" ვეზიარე სერიოზულ ჟურნალისტიკას, მტკიცედ დავდექი ფეხზე და აქ შეძენილმა გამოცდილებამ, წრთობამ სულისა, საშუალება მომცა ჩემი სიტყვა მეთქვა ქართულ ჟურნალისტიკაში — ტელევიზიაში, "სოფლის ცხოვრების" რედაქციაში (სადაც ბატონ ზვიად გამსახურდიას დროს დამაწინაურეს მთავარი რედაქტორის პირველ მოადგილედ) მუშაობისას, აგრეთვე დამოუკიდებელი გაზეთების "სიყვარული" (გამოდიოდა 16 ათასი ტირაჟით), "გაუხმაურებელი ფაქტების", "სამსჯავროს" რედაქტორობისას, თბილისის ჟურნალისტიკისა და სამართლის ინსტიტუტის რექტორობისას.

გაზეთის ოთხმოცი წლის იუბილეა დღეს. ოთხმოცი წელია "განთიადი" ნამუსიანად დააბიჯებს ქართულ მიწაზე. ნება მომეცით, იუბილარ გაზეთს, როგორც ამ გაზეთში აღზრდილმა ადამიანმა, გარკვეული ანგარიშიც ჩავაბარო. თავდაცვის სამინისტროსა და ჟურნალისტთა ფედერაციის დაკვეთით აფხაზეთის ბრძოლებთან დაკავშირებით კასპის ბატალიონზე გამოქვეყნებული წიგნისათვის "სამიზნეზე შემომჯდარი ბედისწერა", სერგეი მესხის სახელობის ლაურეატობა მომანიჭეს, ვარ ღირსების ორდენის კავალერი, ცხრა სქელტანიანი რომანის ავტორი.

ვიმეორებ, ნამდვილად შეუძლებელი იქნებოდა ყველაფერი ამის მიღწევა, თუ არა კასპიდან წამოღებული მუშაობის გამოცდილება.

ნება მომეცით, დღევანდელი დღე, ასევე, მივულოცო ყველას, ვინც ჩემს გვერდით იდგა, ვინც თავს არ ზოგავდა, დღე და ღამ მუხლჩაუხრელად იღვწოდა გაზეთის ავტორიტეტის, ქმედითუნარიანობის ამაღლებისათვის, რესპუბლიკურ, რაიონულ გაზეთებს შორის გამართულ კონკურსებში არაერთგზის გამარჯვებისთვის. განსაკუთრებით კი გამოვარჩიო და დღევანდელი დღე მივულოცო "განთიადის" რედაქტორს ქალბატონ ნანა მერებაშვილს და ქალბატონ რუსუდან ხეჩუაშვილს.

სულ გამარჯვებით გევლოთ "განთიადელებო"!

ლერი მუსხელაძე, კასპის რაიონულ გაზეთ "განთიადის" რედაქტორის მოადგილე 1968-1973 წლებში.

წერილი დაიბეჭდა გაზეთის 80 წლისთავისადმი მიძღვნილ ნომერში.

გილოცავთ იუბილეს!

არ მახსოვს, ვინ, მაგრამ ერთმა ჩვენმა კოლეგამ გაზეთი... პეპელას შეადარა. პეპელასავით მხოლოდ ორი დღით ცოცხლობსო. არადა, ერთის მხრივ, აკი ეს მართლაც ასეა. გაზეთის თითოეულ ნომერში განხილული საჭირბოროტო თემები მხოლოდ პირველი ორი დღეა აქტუალური. მერე და მერე კი, გინდა თუ არ გინდა, დავიწყებას ეძლევიან. მაგრამ არსებითად, მაინც პირუთვნელი მემატიანის გზავნილივით უკვდავია და უცვეთელი, გაზეთის გახუნებულ ფურცლებს შემორჩენილი ამა თუ იმ ეპოქის მაჯისცემა, რის გამოც, ისინი უნიკალურ საარქივო მასალებს წარმოადგენენ. მე თავს ბედნიერად ვთვლი, რომ წლების მანძილზე ჩემი მოკრძალებული წვლილი მაქვს შეტანილი ქართლის ამ ისტორიული რაიონის და მის მკვიდრთა მატიანის შექმნაში, ჩვენი გაზეთის მეშვეობით. თავს ბედნიერად მივიჩნევ, რომ ვმუშაობდი ისეთ პატრიოტ, გულანთებულ და მაღალკვალიფიციურ ჟურნალისტებთან ერთად, როგორებიც დამამახსოვრდნენ: ნორა ედიშერაშვილი, რუსუდან ხეჩუაშვილი, ვალიდა უზნაძე, ამირან ტალახაძე, დალი მელაძე და სხვები. მთელი პასუხისმგებლობით შემიძლია განვაცხადო, რომ კასპის რაიონის ასეთივე გულანთებული პატრიოტები და თავიანთი საქმის უზადო პროფესიონალები იყვნენ გაზეთ "განთიადის" ყოფილი რედაქტორებიც. ბატონები: გურამ კლდიაშვილი და თამაზ შეშაბერიძე. მიხარია და მეიმედება იმის, რომ "ახალი განთიადიც" პირნათლად აგრძელებს თანამედროვე კასპის მატიანის წერას, ქალბატონ ნანა მერებაშვილის მეთაურობით. გილოცავთ, მეგობრებო, ამ ძვირფას იუბილეს და აქვე მსურს მადლიერების გრძნობით მოვიხსენიო იმ სამყაროში გადასული თითოეული განთიადელი, რომელთა უდიდესი დამსახურებაცაა ჩვენი, ესოდენ ავტორიტეტული გაზეთის ძველი, გუშინდელი და უახლესი წარმატებები.

პატივისცემით:
თემურ ჟღენტი, გაზეთ "განთიადის" რედაქტორი 1984-1991 წლებში.

ტაეპებს მიღმა დარჩენილი სათქმელი



დაბეჭდილია ჩვენს გაზეთში 2004 წლის 16-29 თებერვალს

გალაქტიონის თქმისა არ იყოს, ქართულ რეალობაში ხშირად სიკვდილი აუცილებელი წინაპირობაა, რომ დაგინახონ, დაგაფასონ. და, მაინც, არსებობს გამონაკლისები...

თამაზ შეშაბერიძე ყოველთვის გამორჩეულად ჩანდა, მაშინაც, როცა ქართულს ასწავლიდა პირველ საშუალო სკოლაში, ხელმძღვანელობდა რაიონულ გაზეთს, მუშაობდა მუზეუმში, ლიტერატურის ინსტიტუტში და მაშინაც, როცა უმუშევარი ჩვეული მანერით დადიოდა ქალაქის ქუჩებში.

თამაზ შეშაბერიძის მკვეთრად გამოხატული პიროვნული თვისებები უსახურთ უხერხულობას უქმნიდა, წიგნიერთ კი აღაფრთოვანებდა.

ჩვენს რთულ დროში, როცა ყოფითი პრობლემები რუხ სამოსელში ახვევს ყოველდღიურობას, აუცილებელია სწორედ მისნაირი ადამიანების არსებობა. მასთან საუბარი (მიუხედავად მისი პრობლემებისა) გმატებდა ძალას, არ გამოგრჩენოდა მთავარი.

ბატონმა თამაზმა იცოდა პასუხები იმ კითხვებზეც კი, რომელთა არსებობა აზრადაც არ მოუვათ მავანთ. თუ გადავხედავთ მისი რედაქტორობით გამოცემულ "განთიადს", თვალნათლივ დავინახავთ შემოქმედებითი უშიშრობით ნათქვამ სიმართლეს – ნათქვამს განსწავლული მკითხველისათვის.

ჟურნალისტობით ნაშოვნი "პური ჩვენი არსობისა" სულაც არ გახლავთ იოლი, არც გაზეთია ოქრო – ყველას რომ იზიდავს და აბრმავებს. ბატონი თამაზი ცდილობდა ცხოვრების ქაოსში შეენარჩუნებინა "გონიერი ალიაქოთი" – რომელსაც ჩვენი გაზეთი ერქვა.

მახსოვს, ერთი ნეკროლოგის წაკითხვის შემდეგ მითხრა – "ნურასოდეს ეცდები ყველაფერი თქვა, ტაეპებს შორის დატოვე მთავარი!" მხოლოდ ჭეშმარიტად წიგნიერი იგრძნობს, როგორ დიდ პატივს სცემდა იგი მკითხველს და, რა თქმა უნდა, არა მხოლოდ მათ.

თამაზ შეშაბერიძე წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა, ქომაგობდა ჩვენს გაზეთს, დღეს ჩვენ ვართ მისი ჭირისუფალნი... და მიუხედავად უდიდესი გულისტკივილისა, ვართ ამაყნი, რომ 1978-1984 წლებში "განთიადს" ასეთი ჩინებული რედაქტორი ჰყავდა.

ნანა მერებაშვილი.

ერთი ნომერი – ყველაზე კონგენიალურიც კი ვერ დაიტევს 90-წლიან ისტორიას. გაზეთი ხომ სინამდვილის დროში გავრცობილი აღწერაა. სინამდვილე კი ხან სასურველია, ხანაც პირიქით. როგორი ძლიერი სარედაქციო შემადგენლობაც არ უნდა იყოს, ძალაუნებურად ყველაზე მეტი ტვირთის ზიდვა რედაქტორებს უხდებათ, ისინი იძულებულნი არიან ანიდან პოემდე უერთგულონ გაზეთის შექმნის პროცესს, არ დაკარგონ ობიექტურობის შეგრძნება, იხელმძღვანელონ ქვეყნის ინტერესებით... ერთი სიტყვით, მათ სამუშაოშიც აუცილებელია ოქროს კვეთის პრინციპის დაცვა. ალბათ უინტერესო არ იქნება მკითხველისათვის რას წერდნენ რედაქტორები რედაქტორებზე. წერილები, რა თქმა უნდა, ჩვენმა გაზეთმა შემოგვინახა.

,,განთიადს,, ძალიან გაუმართლა

დაბეჭდილია ჩვენს გაზეთში 2010 წლის 28 ივნისს

ვისთვისაც უცხოა რედაქციასტამბის სამზარეულო, გაზეთის შექმნა-დაკაბადონების ფრთხილმოუსვენარი წუთები, ვინც არ იცის სტამბის ფანჯრიდან დანახული განთიადის ფასი, ვისაც გაზეთში გაპარული შეცდომის "აღმოჩენის" უსიამოვნება არ უგემია, რედაქტორის ცხოვრების გაგება გაუჭირდება.

ახალი ნომრის სტამბიდან მოტანამდე, უკვე მომავალ ნომერს გეგმავ... და ეს დროში გავრცობილი შრომა ქმნის ჩვენი ცხოვრების უტყუარ მატიანეს.

როგორც ამბობენ "განთიადს" ძალიან გაუმართლა, ყოველთვის ჩინებული რედაქტორები ჰყავდა. მათ შორისაც გამორჩეული ადგილი უკავია გურამ კლდიაშვილს.

გურამ კლდიაშვილის სახელი მანამდე მესმოდა, სანამ გავაცნობიერებდი რას ნიშნავს გაზეთი, ჟურნალისტი (მით უმეტეს რედაქტორი!) ბავშვობის გაფაქიზებულ აღქმაში ჩამრჩა "განთიადის" რედაქტორის სილუეტი – საქმიანი და ბოჰემური. განა შეიძლება ამ ორის გაერთიანება?! არა და ზუსტად ასეთი დავინახე.

ბატონო გურამ, მართალია, თქვენ არ გიცნობთ, მაგრამ კარგა ხანია ვიცნობ თქვენს შემოქმედებას. ძალიან მახარებს როგორი სიყვარულით გიხსენებენ განთიადელები. თუ უნდოდათ, ნათქვამის სიმართლე ან შეუვალობა დაემტკიცებინათ, ამბობდნენ კლდიაშვილმა თქვაო; და ცნობიერად თუ არაცნობიერად ყველა ახალ რედაქტორს თქვენ გადარებდნენ.

თემურ ჟღენტს უთქვამს – "ბედნიერი კაცია გურამ კლდიაშვილი, ნეტა მე თუ ვეღირსები ასე თბილად გამიხსენონო?!"

მე არ ვიცი, რა საფიქრალ-საზრუნავით ცხოვრობენ 80 წლის ასაკში, მაგრამ ძალიან კარგად ვიცი, რას განიცდის რედაქტორი (თანაც პროვინციული გაზეთის...); მეტ-ნაკლებად ვგრძნობ, რა სხვაობაა "თქვენსა" და "ჩვენს" დროში. ამიტომ "ახალი განთიადის" რედაქტორის უფლებით უღრმეს მადლობას მოგახსენებთ გაზეთისათვის გაღებული შრომისათვის. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, კარგად ახსოვხართ მკითხველს, დღესაც პატივისცემით გიხსენებენ (თქვენ იცით, როგორი სიყვარული იციან პროვინციაში).

იუბილეს სურვილები უხდება, რა გისურვოთ? პირველ რიგში ჯანმრთელობა და დღეგრძელობა, მერე აუცილებლად შემოქმედებითი წარმატებები.

ძნელბედობაში, რთულ რეალობაში, "დარსა და ავდარში" ჩვენ სულ გვახსოვს თქვენი დარიგება: "გული რად გინდა, ლექსი რად გინდა, შენს ხალხზე ფიქრში თუ არ ათენებ, მამულმა ნდობით თუ არ დაგწიდნა, ვერ იქართველებ!"

ნანა მერებაშვილი.

ალექსანდრე ბეჟანიშვილი

გამოსათხოვარი დაბეჭდილია 1980 წლის 9 ოქტომბერს

გარდაიცვალა ალექსანდრე ბეჟანიშვილი – კაცი ძველი, უღალატო და პირნათელი, მრავალი თაობის აღმზრდელი, მრჩეველი და თავადაც გამორჩეული თავისი მადლიანი, ჯავარიანი ქართულით, ტკბილმოუბრობითა და ნათქვამის განუმეორებლობით.

წავიდა ჩვენგან განათლებისა და კულტურის მოღვაწე, გაზეთ "განთიადის" ყოფილი რედაქტორი. ოჯახმა დაკარგა თავკაცი, მეგობრებმა – გულის მესაიდუმლე და ძლიერი მხარდამჭერი, ყველა ნაცნობმა – კაცი უბრალო და გულმართალი.

ჩვენი ქალაქის ქუჩებს მოაკლდა მისი ნათელი მზერა, მეგობარ-ახლობელთა თავშეყრას – უცვლელი თამადა, საზოგადო საქმესა და კულტურულ ღონისძიებებს – მათი მუდმივი ინიციატორი და დამამშვენებელი.

ვინც ერთხელ მაინც ყოფილა ალექსანდრე ბეჟანიშვილის ახლოს, შეუძლებელია დაივიწყოს მისი უაღრესად კოლორიტული პიროვნება, კეთილი, ოდნავ ირონიული გამომეტყველება, გამომსახველი თვალები, რომლებიც თითქოს გეუბნებოდნენ: "ცხოვრებაში არაფერი გაიკვირვო, ჭირიც ბევრი შეგხვდება და ლხინიც, ერთიც წარმავალია და მეორეც..."

სადაც არ უნდა ემუშავა ა. ბეჟანიშვილს, რა უჩინარ თანამდებობაზეც არ უნდა ყოფილიყო, მის გარშემო ყოველთვის ჩნდებოდა მეგობართა და კეთილმოსურნეთა წრე, რომელშიც ბატონი ალექსანდრე პირველობდა მოსწრებული სიტყვით, მახვილგონიერი გამოთქმით, საუბრის დინჯი, აუმღვრეველი კილოთი.

შეიძლება ბევრმა არც იცის, რომ ა. ბეჟანიშვილი ჩვენი რაიონის თავისებური, პირუთვნელი და უტყუარი მემატიანე იყო. თავისი საოცარი მეხსიერების წყალობით მას შეეძლო არაჩვეულებრივი ძალით გაეცოცხლებინა ნებისმიერი მომენტი ჩვენი ცხოვრებისა 30-იანი წლებიდან მოყოლებული დღევანდლამდე.

სამწუხაროდ არ დასცალდა ზოგი რამ მაინც ქაღალდზე გადაეტანა.

... და როგორი მცოდნე იყო ქართული პოეზიისა! მის ისედაც მარილიან საუბარს ძალზე ხშირად ამშვენებდა ქართველ პოეტთა სხვადასხვა დროს წარმოთქმული, გულში ჩამწვდომი სტრიქონები...

განსაკუთრებით ხშირად უყვარდა და რაღაცნაირად ნაღვლიანად იტყოდა ხოლმე "ეჰ, სადღა ნახავ ელამ მიკიტანს თავის დუქანთან მიბმული ყოჩით". დუქანსა და ელამ მიკიტანს კი არ მისტიროდა, არა! ამით ყველაფერი ძველის, ტრადიციულის, კოლორიტულისა და მამაპაპურის სახეცვლილებით გამოწვეულ სევდას გამოხატავდა.

ცხოვრების კანონზომიერების ზოგიერთ უკუღმართობაზე ფიქრობდა და შენც გაფიქრებდა.

ალექსანდრე ბეჟანიშვილი! – ლამაზად ატარა ეს სახელი და გვარი სამოცდახუთი წელი კაცმა, რომელიც ამიერიდან სხვა სამყაროს ბინადარი ხდება.

თამაზ შეშაბერიძე.

გვნვხლოებიც მოლოდინში

სახელმწიფო პროგრამის - "განახლებული რეგიონების" ფარგლებში ქალაქ კასპში გრძელდება ინფრასტრუქტურული სამუშაოები.

ქალაქში უკვე დასრულებულია ორი შენობის ფასადის რეაბილიტაცია.

სამუშაოები გრძელდება კასპის საკრებულოსა და კერძო ობიექტების შენობებზე.

ფართომასშტაბიანი განახლებითი სამუშაო მიმდინარეობს გიორგი სააკაძის სახელობის ქალაქის ცენტრალურ სკვერში. პარალელურად გააქტიურდა ამავე ქუჩის საფეხმავლოების მოწყობის, ფილების დასაგები წინამოსამზადებელი სამუშაოები.

გარე ფასადის მოწყობის სამუშაოები დაგეგმილია და უტარდება 5 მრავალსართულიან საცხოვრებელ სახლს, გიორგი ხორგუაშვილის სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს, კულტურის ცენტრს, 4 სახელმწიფო დაწესებულებას, კასპის რკინიგზის სადგურს, ცენტრში მდებარე აუზს, კერძო ობიექტებს.

განახლდება ქალაქისთვის მნიშვნელოვანი გიორგი სააკაძის სახელობის, გიორგი მაზნიაშვილის სახელობის და მისი მიმდებარე 1 სკვერი.

დალი კორკომაშვილი, კასპის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.

,,ხალოი გვნთიადი,, ეძებს ცალიფერებლო ცოცხალებს რაიონის ცვგვზეთი ფოტო-მასალების შეცვლებლოვლ. თხოვნით მივმართავთ თანხრაიონელებს - ლაფოვეთ თქვენი ყველი ჩვენს მასალაში! გამოგვიგზავნეთ ცალიფერებლო ფოტოები!

კასპის სამუსიკო სკოლა მნუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ღვანლმოსილი პედაგოგი

მანანა სოზიაშვილი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის კასპის რაიონული საბჭო სამძიმარს უცხადებს გიული სოზიაშვილს დის

მანანა სოზიაშვილის გარდაცვალების გამო.

კასპის მუნიციპალიტეტის კულტურისა და სახელოვნებო სკოლების დანესებულებების გაერთიანების აპარატი მნუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა კასპის სამუსიკო სკოლის ღვანლმოსილი პედაგოგი

მანანა სოზიაშვილი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

გაზეთი ,,ახალი განთიადი,, მნუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა

მანანა სოზიაშვილი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

გაზეთი ,,ახალი განთიადი,, მნუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა

ვალტერ ბახტაძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

კასპის მუნიციპალიტეტის კულტურისა და სახელოვნებო სკოლების დანესებულებების გაერთიანების აპარატი მნუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა თანამშრომელი

ვალტერ ბახტაძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

გამოსათხოვარი

ნანა მელაძე

სოხუმელი გოგო, პირღიმილითა და სხივიანი თვალებით, დაიარებოდა კასპის ქუჩებში. სითბოსა და სიყვარულს უნაწილებდა ყველას. თუმცა, გულით დიდ ტკივილსა და მონატრებას დაატარებდა მშობლიური კუთხის, მზიანი აფხაზეთისას.

დასრულებლად შეეძლო ესაუბრა საყვარელ ქალაქ სოხუმზე, მის ლაჟვარდოვან ცასა და ზურმუხტისფერ ზღვაზე, თოლიების ხმასა თუ ზღვაურის სურნელზე.

ელოდა იმ სასწაული დღის გათენებას, როცა კვლავ დაუბრუნდებოდა დროებით მიტოვებულ კერას...

მაგრამ მსოფლიოში გავრცელებულმა სენმა სიცოცხლესთან ერთად ჩააქრო მისი იმედი და ოცნებები...

ნანა მელაძე აღარ არისო! — მეხის გავარდნასავით გაისმა ეს ამბავი კასპში. არადა, როგორ გვეიმედებოდა, რომ ყველაფერი კარგად იქნებოდა. გვჯეროდა, რომ დაუსხლტებოდა ვერაგ ავადმყოფობას.

"გავუძლებ კი ამ ჯოჯოხეთს?" — გვწერდა...

იმედი ბჟუტავდა, რომ დაგვიბრუნდებოდა მისეული გულიანი სიცილით, ფართოდ შემოგვიღებდა კარს და გვეტყოდა, — კოვიდთან ბრძოლაში გავიმარჯვეო!

მაგრამ, სამწუხაროდ, დამარცხდა და მარადიულობას შეუერთდა.

ჩვენთვის, მუზეუმელებისათვის, დიდი დანაკლისია კარგი მეგობრის, პროფესიონალი თანამშრომლისა და სამშობლოზე უზომოდ შეყვარებული ადამიანის, ნანა მელაძის, დაკარგვა.

ნანა, შენი ხატება და ხსოვნა მუდამ ჩვენს გულებში იქნება ამოქარგული.

მსუბუქი იყოს შენს გულზე დაყრილი მიწა, სამარადისო სასუფეველი დაგიმკვიდროს უფალმა.

გიორგი ხორგუაშვილის სახელობის კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი.

გვნლით ჩვენი მეითხველი

რედაქციაში შემოსული წერილები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ

გაზეთი იბეჭდება შ.პ.ს. კოლორ პრესში

რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.

სტატიის ავტორის აზრი, შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციის აზრს. მოტანილი ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.

სარეკლამო მასალებისა და განცხადებების შინაარსზე რედაქცია პასუხს არ აგებს.

რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება.

რედაქტორი ნანა მერებაშვილი

რედაქციის მისამართი: 2600 ქ. კასპი სააკაძის ქ. № 68

ტელეფონი 22-25-76